ტელიწადი მესამე | ფასი 10 კაპ. | ოთხშაბათი, 1917 წ. თიბათვის 14 (26)

# საქართველო

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4. ტელეფონი 15—73

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მოდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. ოვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 127 — ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა — № 127



## საზოგადოების საყურადღებოდ.

გაზ. „საქართველოს" კანტორისაგან

კანტორა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას სამგლოვიარო განცხადებებს ფოსტით ნუ ჰგზავნიან. სჯობს ისევ დეპეშით გამოიგზავნოს, ვინაიდან ფოსტით იგვიანებს.

ადგილობრივი კომისია და ტომსკელი ამხანაგები აცხადებენ, რომ

კვირას, თიბათვის 18, დაიწყება

## ქართველ სტუდენტთა კონფერენცია

საკითხები:

1) თანამედროვე მომენტის განმტკიცება და მისი სარგებლობა.
2) საქართველოს მომავალი ბედი და მასზე გადაბმული საკითხები.
3) შეიძლება, თუ არა პარტიათა შორის საერთო პლატფორმის გამომუშავება?
4) ომი და ზავი.
5) სტუდენტთა ორგანიზაციის შექმნა და
6) მიმდინარე საკითხები.

დელეგატად ათ კაცზე ერთი უნდა გამოიგზავნოს. ნაკლებ რიცხოვანები საჭიროა შეერთდნენ. მანდატებში ამომრჩევლების ვინაობაც უნდა აღინიშნოს.

4—677—2

## საქალაქო არჩევნებისათვის

### მოქალაქენო!

მალე დასრულდება მომავალ საქალაქო არჩევნების მონაწილეთა სიების შედგენა. სიები გამოქვეყნებული იქნება. გამოქვეყნების შემდეგ ხუთი დღის განმავლობაში მცხოვრებთ უფლება აქვთ განცხადება შეიტანონ იმ შეცდომების და უსაფუძვლობის შესახებ, რასაც თვით შეამჩნევენ სიებში. ვინც სიაში ჩაწერილი არ იქნება და იმ ხუთ დღეში არ იზრუნებს, რომ ჩასწერონ, ის საარჩევნო ხმას დაჰკარგავს. სიებში დამატებით ან თვით გამოცხადდეს, ანდა წერილობითი განცხადება შემოიტანოს იმის დასამტკიცებელი საბუთებით, რომ ამისთანა პირს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს (საბუთები უნდა ამტკიცებდენ წლოვანებას და იმას, რომ მოჩივარი საარჩევნო სიების შედგენის დროს, ე. ი. მაისის 28-ს თბილისში სცხოვრობდა).

სიებში გამოტოვებულ პირთა სიების წარდგენა სხვათა საშუალებით არ შეიძლება, აგრეთვე არ შეიძლება სიებში ჩაუწერლობის გამო საჩივრის შეტანა სიების გამოცხადებამდის. მცხოვრებლებს რომ გაუადვილდეთ საჩივრების შეტანა, თბილისი 12 ნაწილადაა დაყოფილი. საჩივრები სიების უსრულობის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ხუთი დღის განმავლობაში, სიების გამოცხადების შემდეგ საარჩევნო ბიუროებში. ასეთი ბიუროები არის:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სამილიციონეროს ბიურო | მოთავსებულია— | ოლღას ქუჩა, მაჩაბლის სახლი № 52, საქალაქო სასწავლებელში. |
| 2 | „ | „ | საარტისტო საზოგადოების საზ. შენობაში. |
| 3 | „ | „ | ქალთა მესამე გიმნაზიაში. |
| 4 | „ | „ | სახელოსნო სასწავლებლის მოედანზე ეგზარხოსის მოედანთან. |
| 5 | „ | „ | საქალაქო საავადმყოფოში ვორონცოვის ქ. |
| 6 | „ | „ | ნადეჟდინის თავშესაფარში, რეიტეროვის ქ. |
| 7 | „ | „ | ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობაში. |
| 8 | „ | „ | პირველ საკომერციო სასწავლებლის შენობაში, ნიკოლოზის ქუჩა. |
| 9 | „ | „ | ქალთა მეხუთე გიმნაზიაში მიხეილის ქუჩა. |
| 10 | „ | „ | სახალხო სახლში, კიროჩნი ქუჩა. |
| 11 | „ | „ | სასურსათო კომიტეტში პავლოვის ქუჩა. |
| 12 | „ | „ | რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის შენობაში, შერემეტიევის ქუჩაზე. |

(2—730—2) თბ. ქალ. გამგეობა. ბიურო ქალ. თბილ. საარჩ. კომიტეტისა.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე რაიონის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანამგრძნობთ შეუძლიათ ჩაწერა ხსენებულს პარტიაში შეუძლიათ შემდეგს ბინებზედ: მეორე უბნის ბიუროში, მამადავითის სამრევლო სკოლა თაწმინდის ქუჩა № 18, 10—12 საათამდე და სადამოთი 5—8 საათამდე, გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში—ვანო ავალიშვილთან, დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე.

6—669—6

ექიმი

**მ. ი. მაჩნაძე**

იღებს ბავშვთა და [შინაგან ხნეულ]. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ხოლ[ი]ნსკის ქ. № 4. (...—202—)

ექიმი

**მ. ფ. მგალობლიშვილი**

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, მეორე სართული, ტელ. 9—53.

ექიმი ქალისა

**ე. ივ. გაჩეჩილაძე-მათეშვილისა**

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.

ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

[illegible]

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმაღლესი ექიმი თბ. [illegible] კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და [illegible] ხნეულებით ავადმყოფებს მიიღებს

**მანგლისში**

საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი

**მ. მ. მუხაძე**

იღებს ხალხოსნურ ავადმყოფთ

საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; თფილისის საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

**მ. გ. ვეფხვაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რამიშვილის ქუჩა, № 19.

## კავკასიის კოოპერატივთა

# ყრილობა

თიბათვის 15, დილ. 12 ს.

ძმათა ეფიმოვის ცირკში, მიხაილოვის პროსპექტზე.

2—678—2






ექიმი

**მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.

მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

**ე. ლ. შალამბერიძე**

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

**კ. ი. გვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა ხნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.


## თბილისი, თიბათვის 14.

## ავტონომია და რუსეთის მთავრობა

დღეს რუსეთში ავტონომიას ვინ არ თხოულობს? ფინლანდია ცოტა არ იყოს ავტონომიას კიდეც გასცილდა. უკრაინამ, ლიტვამ და სხ. ვინ იცის, იქნებ მის მაგალითს მიჰბაძონ. „ჩვეულებრივ" ავტონომიას ხომ ვინ არ მოითხოვს. ამბობენ, ციმბირის მივიწყებულ ტყეებში რომ ტომები სცხოვრობდენ, დღეს რუსეთისგან ავტონომიას თხოულობენო. ეს ხალხები უთუოდ სხვების მაგალითებს აჰყვნენ, თორემ ავტონომია მათ მუდამ ჰქონდათ. მთავრობის მოხელეს—ბოქაულს ან დარაჯს თავიანთ მიყარდნილ სოფლებში ისინი ან ვერასოდეს ვერ ჰნახავდნენ, ან ათს წელში ერთხელ. ამაზე მეტი ავტონომია და დამოუკიდებლობა ძნელი წარმოსადგენია ეხლანდელ თავისუფლების დროსაც.

მაგრამ ერთია ავტონომიის მოთხოვნა და მეორეა მისი განხორციელება. ბევრმა არც კი იცის, რომ შეიძლება ავტონომიის განხორციელება ისე, რომ ამის შესახებ სიტყვათა კორიანტელი არ ასტყდეს რევოლიუციონურ მინისტრთა კაბინეტებში, თუ მუშათა და სალდათთა საბჭოებში. ეროვნებათათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ ახალ მთავრობას მტკიცე და ნათელი გადაწყვეტილება აქვს. ის არავის არ ანიჭებს ავტონომიას და ამისთვის კარგი საბუთიც მოეპოვება. ასეთი რთული საკითხი რა უფლება გვაქვს ჩვენ გადავჭრათ—ეს დამფუძნებელი კრების საქმეაო. ამ დალოცვილებმა სახელმწიფოს ძირითადი კანონები გააუქმეს.მონარქიის ნაცვლად რესპუბლიკურ წყობილებას ამყარებენ, მრავალი სოციალური ხასიათის კანონები გამოსცეს და როდესაც საკითხი ამა თუ იმ ეროვნების საჭიროებებს შეეხება, ჩვენ ამის უფლება არა გვაქვსო—ამბობენ.

მიუხედავათ ახალი მთავრობის ასეთი შეხედულებისა ამა თუ იმ ერთა უფლებებზე, დამოკიდებულნი ერნი თავის უფლებებს მაინც არ ივიწყებენ და ავტონომიის განხორციელების იდეას თავს სრულიადაც არ ანებებენ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ ერს რუსეთში ავტონომია უკვე მიღებული აქვს და ფაქტიურად განხორციელებულიც. აი ესტონელებმა მაგალითად, რომ გამოსჭრეს საკუთარი ტერიტორია და მის მართვა-გამგეობას შეუდგნენ, ან ჩვენმა მეზობლებმა, კავკასიის მთიელებმა რომ ფედერაცია შეჰკრეს, ან უკრაინელებმა, რომ თავის თავი უკვე გამოჰყვეს მთელ რუსეთის შემადგენლობიდან და მის მართვა მოწყობას შეუდგნენ? რუსეთის ახალ მთავრობას, მართალია არ დაუდასტურებია ყოველივე ეს, მაგრამ ერთია ფორმა და მეორე კი—სინამდვილე და რეალური მდგომარეობა.

რუსეთის ცენტრი დიდს ორგანიზაციულ მუშაობას აწარმოებს. ახალი სამინისტრო, მუშათა და სალდათთა საბჭოები, მრავალი სხვა სარევოლუციო ყრილობები. მაგრამ იქ არ სჩანს იმ ერების წარმომადგენელნი, რომლების შესახებ მე მოგახსენეთ. არ სჩანან ვინაიდან იმათ ფაქტიურად ავტონომია უკვე განიხორციელეს და თავის ქვეყნის მართვა-გამგეობას აწყობენ. ჩვენში კი მრავლად მოიპოვებიან გულუბრყვილონი, რომელნიც სერიოზულად ბჭობენ იმის შესახებ—მიანიჭებს თუ არა რუსეთი დამოკიდებულ ერებს ავტონომიას.

## სეპერატიული ზავი

მსოფლიო ომი სისხლის კვანძად გადაიქცა. მებრძოლი სახელმწიფონი, მათი ინტერესები და მიზნები იმდენად გადახლართნენ და გართულდნენ, რომ ერთის აღლითა და ერთის საზომით მათი გადაჭრა ყოვლად შეუძლებელი გახდა. ისედაც რთული საერთაშორისო მდგომარეობა რუსეთის რევოლიუციამ უარესად გაართულა და უთავბოლო ხლართად გადააქცია. თვითონ რუსეთი მეტად რთულ დიპლომატიურ და სტრატეგიულ ქსელში გაება. იგი ბუზსავით ფართხალობს ამ ქსელში და სამშვიდობოს გასვლას ლამობს, მაგრამ გზა ვერ უპოვია.

სოციალისტურმა რუსეთმა რევოლიუციის პირველ დღეებშივე სცადა გზის პოვნა და მებრძოლ სახელმწიფოთა დემოკრატიას სარევოლუციო მაზხალა გადაუგდო. მან მოუწოდა საერთაშორისო პროლეტარიატს და ურჩია რუსეთისავით ტახტებისა და გაბატონებულ კლასთა დანგრევა, მაგრამ გატაცებულთა და აღფრთოვანებულთა საქვეყნო ყვირილი დარჩა ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა.

პირველ ხანებში თავისუფლებით დამთვრალმა რუსეთმა თვითონვე დაიჯერა თვისი მესიანობა. იგი არწმუნებდა თავის თავსა და მთელს ქვეყანას, რომ მზე მსოფლიო სიმართლისა რუსეთში ამოვიდა და თავისუფალი რუსეთი მიანიჭებს მთელს კაცობრიობას იმ თავისუფლებას, და იმ მუდმივს მშვიდობას, რომელსაც დაღლილ დაქანცული მსოფლიო ნატრობს.

მაგრამ... კაცობრიობა მხოლოდ ნატრობს და ოცნებობს, ხოლო მის ისტორიას განაგებს ურჩინარი ბედი და უხილავი ძალა. ამ ბედმა ახალ რუსეთს ღიმილით გასცა პასუხი. სოციალისტურმა და დემოკრატიულმა ევროპამ გულწრფელად მიულოცა რუსეთს განთავისუფლება, მაგრამ ტახტების დანგრევაზე მტკიცე უარი შემოუთვალა.

ეს გზა მსოფლიო ომის გათავებისა და მშვიდობის აღდგენისა დაიკეტა. პირველი აღმაფრენა და ოცნება ჩანელდა. მესიანობაც დაივიწყეს. დღევანდელი რუსეთი ნაცვლად კაცობრიობის განთავისუფლებისა იმასღა ცდილობს, რომ თვისი თავი გადაარჩინოს, შეინარჩუნოს სახელმწიფო და განამტკიცოს ასე მოულოდნელად მოპოვებული თავისუფლება.

პირველ ზარხოშს გამოფხიზლება მოჰყვა. საჭირო გახდა ზავის ლოზუნგისა და სამირკვლის პოვნა.

რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ასეთ ლოზუნგად აღიარა ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ეროვნებათა თვითგამორკვევის საფუძველზე.

ამ ჰურჭელში ზოგმა ძმარი ჩაასხა, ზოგმა შხამი და ზოგმა ტკბილი ღვინო. ისე განმარტეს ეს ფორმულა, რომ შიგ მოჰყვა ანექსიაც, კონტრიბუციაც, ერთა დამორჩილებაც და დაპყრობაც. ბოლოს და ბოლოს თითქმის ყველგან უანექსიო ზავი უანექსიო ომად გადააკეთეს და ერთხმად დაადგინეს: ომი უნდა გაგრძელდეს იმ დრომდის, სანამ დამყარდება უანექსიო ზავი.

ასე აირ-დაირია გარეგნულად ნათელი, მოკლე და მკაფიო მცნება უანექსიო ზავისა. იგი გადაიქცა თავის საწინააღმდეგო მცნებად — უანექსიო ომად. ამრიგად, ლოღიკურად რომ დავასკვნათ, ომი და ზავი ერთი და იგივე მცნება გამოდგა.

ასე გამართლდა ახალის გზით ძველი ჭეშმარიტება: ზავი ომით მოიპოვებისო.

რა პასუხი მიიღო რუსეთმა?

საფრანგეთის პარლამენტმა სახუმარო თანხმობა შემოუთვალა: ანექსიაზე უარს ვამბობ, მაგრამ ელზას-ლორენი უნდა დამიბრუნდესო, არც კონტრიბუცია მინდა, ხოლო ომის ზარალი უნდა ამინაზღაურდესო.

ამაზე იტყვიან: სულ ერთია, თუნდ გახიე და თუნდ გაფხრიწე. ბავშვმაც იცის, რომ ზარალის ანაზღაურება იგივე კონტრიბუციაა, ხოლო ელზას-ლორენის დაბრუნება იგივე ანექსია გახლავთ. ინგლისის პასუხის მოცდა საჭიროც არ არის. სანამ ცოცხალია დიდი ბრიტანეთის ლომი, ინგლისი ხელს არ აიღებს კოლონიებზე, რომელნიც გერმანიას წაართვა, და ეგვიპტეზე, ანუ კუნძულ კიპროსზე, რომელნიც საკუთრებად გამოაცხადა. იტალიამ და საფრანგეთმა საუკეთესო პასუხი საქმით გასცეს ახალს რუსეთს: პირველმა ალბანეთი შეიერთა, ხოლო მეორემ რუსეთის ჯარის დახმარებით საბერძნეთი დაიპყრა. დღეს თუ ხვალ ეს ქვეყანაც გაბრიყვდება რუმინეთსავით და ომის უფსკრულში გადაიჩეხება.

მოკლედ რომ მოვჭრათ, რუსეთის მოკავშირენი გაიძახიან: ომი ანექსიით და კონტრიბუციით, რუსეთი კი დაჟინებით მოითხოვს ზავს უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ. უფრო ნათლად რომ ვსთქვათ, რუსეთის მოკავშირეებს კიდევ შერჩათ ძალა საბრძოლველი და იმედი გამარჯვებისა, რუსეთს კი ერთიც დაეკარგა და მეორეც.

რას ამბობენ მოპირდაპირენი? სავსებით ეთანხმებიან რუსეთს და ჰპირდებიან რუსეთის ტერიტორიის დაცლას და სერბია-ჩერნოგორია-რუმინეთის აღდგენას. რადგან ინგლის-საფრანგეთი ანექსიაზე და კონტრიბუციაზე უარს არ ამბობენ და ომს აგრძელებენ, ხოლო ავსტრო-გერმანეთის კავშირი სავსებით ეთანხმება რუსეთის საზავო პირობებს, ამიტომ ძალაუნებურად იბადება ცენტრის სახელმწიფოთა და რუსეთის თანხმობა, ჩნდება საერთო სალაპარაკო საგანი, საერთო ნიადაგი და პირობები ზავისა.

მ. ადამაშვილი.

# ომი და ზავი

## დეპეშები

### ინგლისის ბანაკის ცნობა.

**ლონდონი.** თიბათვის 11. ოფიციალი. სკარპის სამხრეთით გუშინ საღამოთი ჩვენ რამდენიმე გერმანელი დავატყვევეთ. კრუაზელ-შესინის უბანში გერმანელთა არტილერია ენერგიულად ჰმოქმედობდა.

**ლონდონი.** თიბათვის 11. ოფიციალი. არმანტიერის სამხრეთით შეტაკების დროს, პორტუგალიელმა ჯარმა დაატყვევა გერმანელთა პატრული. ფრონტის დანარჩენ ადგილებში არაფერი შესანიშნავი არ მომხდარა გარდა უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლისა.

### საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

**პარიზი.** თიბათვის 10. ოფიციალი. შმენდამის გზაზე, ნამეტნავად ფიდენს სამხრეთ აღმოსავლეთის სექტორში და კრაონისა და შევრეს რაიონებში გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელები რეიმს ყუმბარას კვლავ უშენენ. დარჩენ ადგილებში მშვიდობიანობაა. გავრედის ჩრდილოეთით მტერზე უეცარის თავდასხმით გერმანელთა საკმაო რიცხვი დავატყვევეთ. იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელთა თავდასხმა მოვიგერიეთ.

**ბელგეთის ფრონტი.** დიკსმიუდესთან, ჰაიდგელ და სტეენსტრატე-ჰეტზასის მიმართულებით საკმაოთ ცხარე საარტილერიო ბრძოლაა.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** თიბათვის 9-ს ბრიტანეთის და სერბეთის ფრონტებზე მოწინავე რაზმების შეტაკება იყო. ჩერნას რაიონში არტილერია ენერგიულად ჰმოქმედობდა.

**პარიზი.** თიბათვის 11. ოფიციალი. იურტებიზ-ვრავნის უბანში, ქევანკურას სამხრეთით საკმაოდ ცხარე საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენმა ბატარეამ მტრის არტილერია ჩააჩუმა. გერმანელთა საიერიშო ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, რადგანაც ჩვენი არტილერია მათ შეუჩერებლად უშენდა ყუმბარას. შამპანში, კორნილიეს მთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ მტრის იერიში მოვიგერიეთ. ობერივთან ჩვენ გერმა-

ნელებს თავს დავესხით და რამდენიმე ჯარის კაცი დავატყვევეთ.

**იტალიეთის ზანაკის ცნობა.**

**რომი.** თიბათვის 11. ოფიციალური. ტონალეს მთის გადასავალში ჩვენ უკუ ვაგდეთ მტრის მზვერავთა რაზმები. გუშინ საღამოთი გერმანელები დაჟინებით უშენდნენ ყუმბარას აზიაგოს ზეგანზე, ორტიგანოსთან ჩვენს პოზიციებს. ამ პოზიციების დაჭერის დროს ჩვენ დიდი სამხედრო ნადავლი წამოვიღეთ, ივლიის ალპების ფრონტზე ჩვენი ბატარეია ყუმბარას უშენდა რკინის გზის სადგურებს სანტა-ლუჩიას და ტოლმინოს. კარსოზე ჩვენი არტილერია ხელს უშლიდა გერმანელთა რაზმების წინსვლას და მზვერავთა მოქმედებას.

**მფრინავთა მოქმედება.** თიბათვის 6 ს ჩვენმა მფრინავმა აიძულა გერმანელი ჰაეროპლანი ალსობიცასთან დაშვებულიყო; მეორე ჰაეროპლანი გუშინ საღამოს სანტა-მარკოს მთასთან ჩამოვაგდეთ.

**„ბრძოლა ზავისთვის“**

**მინხენი.** თიბათვის 11. გაიმართა მრავალი მიტინგები. ორატორები ერთ ლოზუნგს ამბობდნენ—ბრძოლა ზავისთვისა. მიიღეს მრავალი რეზოლიუცია. ბოლშევიკები სცდილობდნენ საქმეში ჩარეულიყვნენ, მაგრამ მათი ცდა ყველგან დამარცხდა.

**გემების დაღუპვა**

**კოპენჰაგენი.** თიბათვის 10. ჩაიძირნენ დანელთა გემები: ინგლისიდან დანეთში მიმავალი ნახშირით დატვირთული „ინგე“ და გრელანდიიდან დანეთის მიმავალი „ევიგზუტი“.

**დაჭრილ-დაშავებულ დეპუტატების ყრილობა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 11. დაჭრილ-დაშავებულ ჯარისკაცთა კავშირის კომიტეტი მოაგონებს ჯარისკაცთ რომ სრულიად რუსეთის დაჭრილ-დაშავებულთა დეპუტატების ყრილობაზ თიბათვის 15-ს იქნება მოწვეული და სთხოვს თავთავიანთ წარმომადგენლები გაჰგზავნონ· საჭირო ცნობების მიცემა შეიძლება: პეტროგრადი, ფრანგების სანაპირო 36.

**ამერიკელთა მოწოდება რუსეთისადმი**

**ნიუ-იორკი.** თიბათვის 10. (გაგრძელება) საკვირველი არ არის, რომ ლოზუნგი: ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო მეტად ესიამოვნება გერმანელს. გერმანელთა აგენტები ყველა ქვეყნებში ასეთს ზავს ქადაგებდნენ. მათ კარგად იციან, რომ ასეთი ზავი ხელახლად გამოუჭედდა რუსეთს იმ მძიმე ხუნდებს, რომელიც რევოლუციამ ჩამოაშორა. დემოკრატიასთან ძმურ კავშირის მქონე ამერიკელები ყველა ღონისძიებას იხმარებენ ასეთ ზავის საწინააღმდეგოდ. თავისუფალ დემოკრატიის ერმა იცის როგორ უნდა თავის გაწირვა, და არა უსამართლო და ჩირქის მომცხები ზავის შეკვრა. რუსის ძლევა-მოსილ ჯარმა დაგვიმტკიცა, რომ იგი, საომარ იარაღით უზრუნველყოფილი, ავტოკრატიულ მილიტარიზმის ჯარზე გაცილებით მაღლა სდგას. ეხლა ეს ძლევამოსილი ჯარი სამშობლოდან მტრის გასარეკად განმზადებულა. იმედია ჩვენც ჩავწერენ რუსეთის ისტორიის ბრწყინვალე ფურცლებზე, როს ორ მილიონს თუ მეტს ჯარსაც მივაშველებთ. ჩვენც ვიბრძვით თქვენთან მშვიდობიანობის მოსაპოვებლად. გამარჯვება უკვე სჩანს. ჩვენ წინ ბედნიერების, სიმართლისა და პატარა ერთა თვითგამორკვევის გზა გვიდევს.

სამხრეთის ძმების ხმა და აგრეთვე ბელგეთ - საფრანგეთი მოგვაგონებს, სიმართლე მოითხოვს, რომ გერმანეთს თავისი მიუწყოთ. ვიდრე გერმანეთის ავტოკრატია არ შეიმუსრება ხალხს თვით-გამორკვევის თავისუფლებას ვერავინ მოუპოვებს.

# რევოლუცია

## დეპეშები

**ცარიცინში მომხდარ ამბების გამო**

**ცარიცინი.** თიბათვის 11. ქალაქის მდგომარეობის გამოსარკვევად ჩამოვიდნენ ყაზანის სამხედრო ოლქის და სარატოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლნი. გამოირკვა, რომ აღმასრულებელ კომიტეტის ძალა ჯარისკაცთა ხელში გადასულა. ხოლო ისინი არაფერს აქცევენ ყურადღებას. მუშაობა შეწყვეტილია. ჯარისკაცები ისეთ მიტინგებს ესწრებიან, სადაც ვისიმე კერძო საკუთრებას ინაწილებენ. ყაზანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა კონოვალოვმა აღუთქვა ქალაქის თავს, რომ ყველაფერს დაწვრილებით გადასცემს დროებით მთავრობას და ეცდება ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად ენერგიული ზომები მიიღოს.

## მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა

**პეტროგრადი.** თიბათვის 8. ამ აზრის მიხედვით მეტი წილი ჩვენგანი პასუხისმგებელია. (მქუხარე ტაში). განძრახული გვქონდა ულტიმატუმის წარდგენა მოკავშირეთათვის. მაგრამ, ვგრძნობთ, ულტიმატუმი განხეთქილებამდის მიგვიყვანს, რაც რევოლუციას დაასამარებს. ამაზე პასუხს აგებს რევოლიუციონური დემოკრატია. მეტი პასუხისმგებლობა აძევთ მათ, ვინც ასეთ ავანტიურისტულ ნაბიჯებს გვიკარნახებს. (მქუხარე ტაში) ასევე უნდა ითქვას შინაგან პოლიტიკის შესახებ. გვირჩევენ რა რამდენიმე ათეულ კაპიტალისტების შეპყრობას და მთავრობის ძალის საბჭოების ხელში გადაცემას, გვაძლევენ იმის გარანტიას, მაგალითად თუნდა ლენინი, რომ ბოლშევიკების მთავრობა დღეს მთელ რუსეთისაგან იქნება მიღებული? (მქუხარე ტაში).

გლეხთა ორგანიზაციებმა, ჯარმა და მომუშავე კლასმა გლეხთა დეპუტატების საბჭოებში და ფრონტის ყრილობებზე კი გადაჭრით განაცხადეს, რომ დღეს სამშობლოს ყველა ძალების გაერთიანება სამოქმედოთ მხოლოდ კოალიციონურ მთავრობას შეუძლიანო. (მქუხ. ტაში). როგორ შეიძლება, პასუხისმგებლად ჩავთვალოდ ის პირნი, რომელნიც სიფრთხილით არ ეპყრობიან რევოლიუციას. რევოლიუცია— ალყა შემორტყმული სიმაგრეა. ომი, სიმშილის მუქარა და დაშლილი საფინანსო საქმეები მძლავრად ეხეთქებიან მის კედლებს, მაგრამ იგი მაგარია თავის სიმართლით და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რევოლუცია დასძლევს ყველა დაბრკოლებებს. ხოლო თუ ამ სიმაგრის კედლებს შიგ მყოფთაც დაუწყეს ნგრევა, მაშინ კი აღარ უნდა გვიხაროდეს-რა, რადგან აუცილებრივ სამოქალაქო ომში ჩავებმებით. აქ ბევრს ლაპარაკობდნენ კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ის კი ავიწყდებოდათ, რომ კონტრ-რევოლუციას სამოქალაქო ომი შეგვამთხვევს.

როდესაც ჩვენ ვამბობთ: „შევქმნათ ისეთი დროებითი მთავრობა, რომ მან მხარის ცოცხალ ძალების საბრძოლველად გაერთიანება შესძლოს, ჩვენ პასუხს ვაგებთ არამთუ ამ კეთილ განზრახვებზე არამედ მათ შედეგებზე. მე არ ვიცი, შევძლებთ თუ არა ყველა სიძნელის დაძლევას (ხმები „ჩვენც დაგეხმარებით“). ვიცი მეგობრებო, რომ თქვენ მოეხმარებით. „ერთად, ან სიკვდილი და ან გამარჯვება (მქუხარე ტაში) დღის კრების თავმჯდომარე ჩხეიძემ აცნობა კრებას, რომ მოასვენეს მე 2-რე სათათბიროს სოც. დემ. ფრაქციის წევრის ბელოუსოვის გვამი. იგი ციმბირში ყოფნის შემდეგ ამერიკაში გარდაიცვალაო. კრებამ ფეხზედ ადგომით პატივისცა განსვენებულს და დაადგინა საგანგებო დელეგაციით მიაცილოს გასვენებული სამარის კარს.

**პეტროგრადი.** თიბათვის 9. (გაგრძელება). მე ბრალს მდებენ ბურჟუაზიული გაზეთები, მაგრამ მე რომ გერმანეთის გაზეთების ქების ფურცლები მომეტანა, რომელთაც ისინი ერთ რუსეთის პარტიას უძღვნიან, მაშინ შეგეძლოთ გეწოდათ ჩემთვის სალახანა. (მქუხარე ტაში) მე ბრალს მდებენ უკრაინის ყრილობის ნებადაურთველობაში. სიცრუეა, მე არ დავთანხმდი ყრილობის წევრებს გაგზავნაზე, დელეგატებს კი ჯარის კომიტეტთაგან განთავისუფლების ნება დავრთე. ვიდრე ბრალს დამდებდნენ, საქმე უნდა სცოდნოდენ. ფინეთის და უკრაინის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ მე დაბეჯითებითი თხოვნით მივმართავ მათ დემოკრატიას: ნუ დაარღვევენ ბედნიერებისა, თავისუფლების და საერთო მშვიდობიანობის მოსაპოვებლად მებრძოლ ერთეულ ძალას.

რუსეთთან ჩამოშორება—მათი დაღუპვაა, რაც შეეხება სომხეთს, ჩვენ მის დაცლა არ შეგვიძლიან, რადგან უჩვენოთ თურქთა და ქურთების მახვილი ამოჰხოცავთ სომხებს. (მქუხარე ტაში). დღეს მეციხოვნეთა შორის ანარქია და თვითმსაჯულობა სწარმოებს. მე მოუწოდებ ყველას, ვისაც კი ძალუძს მხარი დაუჭირონ სამხედრო მინისტრს ზურგში წესრიგისა და სიწყნარის დასამკვიდრებლად. მე ყოველთვის უიარაღოდ ვიბრძვი იმ ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც საზოგადო და დემოკრატიულ ორგანიზაციებს საფრთხეს უმზადებს, და ყოველთვისაც გამარჯვებული ვრჩები.

მაგალითად სევასტოპოლი შეგიძლიანთ აიღოთ. იქ დროებით მთავრობის ბრძანება 27 საათზე ადრე იქმნა სისრულეში მოყვანილი. (მქუხარე ტაში). ჩემი განკარგულებანი—უმეტესად რუსეთის დემოკრატიის ნების გამომხატველნი არიან. ვიდრე მე ძალა მაქვს მე არ შევიტან ჯარში დაშლას. ამ გზით მივისწრაფით მე და დემოკრატია. (მქუხარე ტაში) ჯარი ძლიერი უნდა იყოს. ჯარმა ნება არ უნდა მისცეს, რომ ახლად გამოჩენილი სოციალისტი, ბავარიის პრინცი, მძიმე ზარბაზნიანთა დივიზიით ემუქრებოდეს მას. განა ჩვენ ზარბაზნებისა გვეშინია. (ხმები: არა, არა) ლენინს მოჰყავს გერმანელთაგან გაზიარებული შეხედულებები. მე ვკითხები მას, რატომ გერმანეთში არ წაიკითხა ამ თემაზე ლექციები?

**პეტროგრადი.** თიბათვის 9. დეპუტატთა საბჭოს ყრილობა. ყრილობა ომთან დამოკიდებულების კამათით იწყება. ფრონტის წარმომადგენელი ვილენსკი და ესერი საავიანი ლენინს აკრიტიკებენ. მარტოვის აზრით, რუსეთის დემოკრატიამ უნდა მოითხოვოს ხელშეკრულებათა გადათვალიერება და ყველა ფრონტებზე დროებითი შერიგება გამოაცხადოს. სეპარატიული ომი რუსეთისთვის საშიში არ არის, რადგან რევოლიუციური ხალხი საკმაოთ ძლიერია თავის ფორმულათა დაცვისათვის. ტროიცკი ამტკიცებს, რომ რევოლიუციურმა დემოკრატიამ უნდა გამოაცხადოს, რომ გერმანეთის იმპერიალიზმის ხუნდები უკვე საზიზღარია მისთვის, როგორც იმპერიალიზმი ანგლო-ამერიკანელთა. წერეთელი უპასუხებს ტროიცკის და ამბობს, რომ არ არის საჭირველი პატარა ჯგუფთა შეცდომებზე შეჩერება, რადგან შემცდარ პოზიციის წყალობით კონტრ-რევოლიუციას გზა ეხსნებაო. ტროიცკი—სთქვა წერეთელმა—ლაპარაკობდა მოკავშირეთა ულტიმატუმზე და მან კარგად უნდა უწყოდეს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის ულტიმატუმი, ვიდრე იმის მიზეზებს არ გადავათვალიერებთ,—ამ ქვეყნების დემოკრატიის ულტიმატუმი იქნებოდა. მე ვკითხულობ, ხელსაყრელია თუ არა ხალხთან ულტიმატუმით ლაპარაკი? ყრილობებში დემოკრატია მონაწილეობს, იგი არ ეთანხმება ტროიცკის და განა ამგვარ ულტიმატუმებს თავს არ დაანებებს? (ტაში), ბოლშევიკებმა სეპარატიულ ომის ლოზუნგი წამოაყენეს, მაგრამ ამგვარი ომი ფაქტიურად ჩვენს მოკავშირეთათვის საზარალო არ იქნებოდა. რუსეთის დემოკრატიას, სრულიად განცალკევებულად დარჩენილს, მოაკლდებოდა ყოველგვარი დახმარებაო. იერიშების შესახებ, წერეთელმა სთქვა, რომ ეს საკითხი რევოლიუციისათვის ყოფნა არ ყოფნის საკითხიაო. იერიში—სთქვა წერეთელმა,—თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა და ამიტომ საჭიროა ლაშქარი თავდასხმისათვის მზად იყვესო. ბოლშევიკები ლაშქარს უმოქმედობისაკენ მოუწოდებენ, ხოლო ლაშქარი უსაქმურობით იღუპება. უარჰყოფენ რა ლაშქრის იერიშს, ბოლშევიკები მუშებს მოუწოდებენ ქვეყნის შუაგულში საერიშოთ. რუსეთის რევოლიუციას დარბევის საფრთხე მოელის. ჩვენ ვებრძვით ბოლშევიკებს, რადგან რევოლიუციის სუსტი მხარე სწორედ აქ არისო. (ტაში). პლეხანოვი ყრილობას მოუწოდებს მტრის ბატონობა მოვიშოროთო.

თორმეტ საათზე კრება შესწყვიტეს. მენშევიკები და ს.-რ. თათბირობენ თიბათვის 10-ს ბოლშევიკთა შეიარაღებულ მანიფესტაციის შესახებ.

საღამოს კრების დახურვის შემდეგ, სრულიად რუსეთის დეპუტატთა საბჭოების ყრილობის წევრები ფაბრიკებისა და ჯარის ნაწილების დასათვალიერებლად წავიდენ, რათა მშვიდობიანობისაკენ მოეწოდებინათ მათთვის. ამისათვის შესდგა საგანგებო კომიტეტი 14 კაცისაგან შემდგარი.

9 საათზე წევრთა კერძო თათბირზე გამოირკვა, რომ ამ მოგზაურობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო.

**პეტროგრადი.** თიბათვის 11. დღის კრება. ყაზახთა ყრილობის თავმჯდომარემ ტკაჩოვმა სთქვა, მე გამგზავნა ყაზახთა 11 ლაშქრის დეპუტატთა ყრილობამ. ეს ყრილობა წარმომადგენელია, როგორც ფრონტზე მყოფ ყაზახებისა, აგრეთვე ყაზახთა სტანიცების მოსახლეობისა. ყაზახობა მოგესალმებათ და იზიარებს თქვენის უმრავლესობის აზრებს, რასაც დროებითი მთავრობაც და ხალხიც ემყარება. თუმცა ყაზახთა ყრილობას ჯერ საერთო დადგენილებანი არ მიუღია, მაგრამ წინასწარ დადგენილებებით კი იყო თქვენთანაო. ყაზახობამ იცის, რომ დროებითი მთავრობა ბატონი და პატრონია და იგი ერთიანებს ჩვენს ქვეყანას (ტაში). ამ სიტყვას შემდეგ ომთან დამოკიდებულების შესახებ კამათი კვლავ დაიწყო. ყრილობის უმცირესობის მხრივ ილაპარაკეს პრაპორჩიკმა კრილენკომ, ზინოვიევმა და ერმანმა. პირველი ამტკიცებდა, რომ რევოლუციის პირველ დღეების ენტუზიაზმი ჯარს გაუქრა და ამ ენტუზიაზმოდ კი ომის წარმოება შეუძლებელიაო. ამას კრილენკო იმ რეზოლიუციებზე ამყარებდა, რომლებიც მას ხუთი პოლკიდან ჰქონდა მიღებული. ენტუზიაზმის გასაჩენად საჭიროა, ჯარის კაცებმა ირწმუნონ, რომ იგინი სახალხო საქმისთვის იხოცებიან. რწმენა კი მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც მთავრობის ძალა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხელში გადავა. ლუნაჩარსკიმ განმარტა ყრილობის უმცირესობის პოზიცია. და სთქვა, რომ როცა სარევოლუციო მოძრაობა უმაღლეს წერტილამდის მივა, მაშინ ძალთა ისეთი აფეთქება მოხდება, რომ საქმის მსვლელობა მთლად შეიცვლებაო. სხვა იმედები უმრავლესობისა ბურჟუსია.

ზინოვიევი ამტკიცებს, რომ ინტერნაციონალის დრო მას ერთგულად მხოლოდ ბოლშევიკები შერჩნენო (დღის ყრილობის დასასრული ჯერ არ მიგვიღია).

**პეტროგრადი.** თიბათვის 11. საღამოს სხდომაზე ილაპარაკა ვანდერველდემ· დღევანდელ დღეს, სოციალისტებისათვის კავშირი ფრიად საჭიროა. რუსეთი უსაშინლეს წუთებს განიცდის. ცარიზმის მიერ წარმოშობილი ბოროტება, ფინანსთა დაცემა და სხ. მოუგვარებელი საქმენი რევოლუციონურ დემოკრატიისგან მოითხოვენ ენერგიას და ძალთა გაერთიანებას. ჟამი ფრიად საშინელია: საკითხი ასეთია: დესპოტიზმს დარჩება გამარჯვება, თუ ხალხი თავისუფლების ჰაერით ისუნთქებს? (ხანგრძლივი ტაშისცემა) სამი წლის წინედ მე მოგიწოდებდით ეროვნებათა კავშირისაგან.—მე მრწამდა, რომ დადგებოდა ისეთი დრო, როცა შესაძლებელი იქნებოდა თვითგამორკვევა და ყოველგვარ ბატონობისაგან განთავისუფლება (ტაში). ჩვენ სრულიად გეთანხმებით: ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ომს, გარდა თავისუფლების და თვით დაცვის ომისა. ჩვენ არ გვინდა ვისმეს მიწები ჩამოვართვათ, ან და კონტრიბუციით დავტვირთოთ, მაგრამ განსხვავება მხოლოდ საშუალებასა და მეტოდშია, სხვანაირად არ შეიძლებოდა. დიდხანს ვიყავით ომისგან გაყრილნი და ჩამოშორებულნი. თქვენ ახლახან დაამსხვრიეთ დესპოტიზმის ჯაჭვ-ბორკილი და ახლა მთვრალნი ნებივრობთ თავისუფლების ტკბილი სასმელით. ჩვენც თავისუფლები ვიყავით ომამდე. ახლა ძმები ვართ. დღეს ბელგიელი მუშები ვილჰელმის მონები გახდნენ (ტაში).

მე ვამბობ: მე რომ რუსი ვყოფილიყავ, მეც ისე ვიფიქრებდი, როგორც თქვენ რომ ბელგეთის პროლეტარები იყვენით, თქვენც რომ ისე იტანჯებოდეთ, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ისე იფიქრებდით, როგორც ბელგიელები ჰფიქრობენ. მაგრამ უთანხმოება არას წარმოადგენს, შედარებით იმ ინტერნაციონალიზმთან, რომელიც ჩვენსა და ჩვენ გერმანელ მეგობართ, ლუქსენბურგისა და ლიბკნეხტის გულში ჰფეთქავს, რომელნიც ციხეში არიან ჩამწყვდეულნი, რომელნიც სათუთად ინახებიან საფრანგეთის რევოლიუციონერთა გულში (ტაში). სამი წელიწადია რაც ბელგეთი მტარვალს უჭირავს. მისი სულიც ტყვეთ ჰყავს მას. ადგილობრივი მოსახლეობა მშობელ კარ-მიდამოს დააშორეს და შორს მიუჩინეს ბინად უცხო ადგილნი. სოციალისტური ბელგეთი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის. მაგრამ ამ წელიწადს, ბელგეთის მუშებსაც დაუდგათ ჟამი სიხარულისა, როდესაც სოციალისტურ ბელგეთმა გაიგო რომ პეტროგრადი აღსდგა და დაამხო ცარიზმი, რომ იქ დანთებული ცეცხლი ევროპასაც მოედება. (მქუხარე ტაში) ჩემს სიტყვას უნდა დაუმატო, რომ რევოლიუციის მხიარულ სახეს თან აჰყვა შემაძრწუნებელი სახე. ჩვენ გვეფიქრება: შეძლებს თუ არა რევოლიუცია თავის მოვალეობის პირნათლად ასრულებას. ჩვენს თვალწინ კოალიციონური სამინისტრო დაარსდა. ჩვენ მოწმენი გავხდით, იმისა, თუ რა ენერგიით შეუდგა კერენსკი რევოლიუციონურ ჯარის ორგანიზაციას. მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების ყრილობა—ის ორგანოა, რომელიც რევოლიუციას დააპოლოვებს. მე და ჩემი ამხანაგები, დაპყრობილ ბელგეთის მუშათა და ჯარის კაცთა სახელით, სალამს ვუძღვნით თავისუფალ რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა ყრილობას და დიდ იმედს გამოვსთქვამთ მის მოვალეობის პირნათლად ასრულებაში. ჩვენ იმედი გვაქვს რომ რუსეთის რევოლიუცია მთელს ქვეყანას გაანთავისუფლებს მონობისაგან. (ტაში). ჩვენ ბელგეთის პროლეტარიატს უნდა დავუბრუნდეთ და გეტყვით: მშვიდობით. მაგრამ არა, მშვიდობით კი არა,—ნახვამდის, ვიდრე მთელი ევროპა თავისუფლად ამოისუნთქავს. გმადლობთ მასპინძლობისთვის. გაუმარჯოს რევოლიუციას, გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ქვეყნის თავისუფლებას. (მქუხარე ტაში).

**ჩხეიძე** სალამს უძღვნის ვანდერველდეს ყრილობის სახელით და ამბობს, რომ რუსეთის დემოკრატია ღრმად ჰგრძნობს ბელგეთის ტკივილებს, რომელიც ომში ჩაითრიეს. თქვენ ჩვენზე უკეთ იცით, თუ რომელი გზა მიგვიყვანს მტკიცე ზავთან, თქვენ უკეთ გესმით თუ რას ჰნიშნავს ბრძოლა ზავისთვის. ჩვენ გეუბნებით, რომ რუსეთი ერთი იმედით ჰცოცხლობს:—რაც მალე განხორციელდება ზავი ერთა თვითგამორკვევაზე მით უკეთესია ყველასთვის. სხვა ზავს ჩვენ უარვყოფთ. წადით ამხანაგო, ვანდერველდე, იმუშავეთ ჩვენთან, მოუწოდეთ ყველას ზავისკენ და გახსოვდეთ, რომ რუსეთის რევოლიუცია ვერავის ვერ მისცემს მაზე მეტს, რაც მას აქვს.

გახსოვდეთ აგრეთვე რომ ბელგეთის თავისუფლება ჩვენთვის ისეთვე ძვირფასია როგორც ინტერესები რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიისა. გაუმარჯოს თავისუფალ ბელგეთს, გაუმარჯოს ინტერნაციონალიზმს, გაუმარჯოს სოციალიზმს (მხურვალე ტაში).

სიტყვის დასასრულში დანი ამტკიცებს, რომ ყრილობამ უნდა უარყოს ლენინის ტაქტიკა, რომელსაც სეპარატიულ ზავისკენ მივყევართ და რომლითაც დაღუპვა ელის თავისუფალ რუსეთს. აგრეთვე შეუძლებელია მარტოვის ტაქტიკა, რომელიც სეპარატიულ ომს ჰქადაგებს და მოკავშირეებისგან გამოყოფა სურს. ლენინის გზა ჩვენ დაგვღუპავს, მარტოვის გზა კი ფულის, იარაღის და სამხედრო ნივთების შეძენის სახსარს მოგვისპობსო. მრწამს, რომ ყრილობა სწორ გზას აირჩევს, ვინაიდან რუსეთს ომის გაგრძელება მტკიცე ზავისთვის ჰსურსო.

**რომანოვი** კითხულობს მოხსენებას სახალხო კონფერენციის მოწვევის შესახებ. მისი აზრით პეტროგრადის აღმ. კომიტეტმა ციმერვალდელების წინადადება იმიტომ უარ ჰყო, რომ მათ არავითარი გავლენა არ აქვთ ფართო ხალხში. აგრეთვე მიღებულია ჰოლანდია-სკანდინავიის კომიტეტის წინადადება, ვინაიდან მოკავშირეთა პროლეტარიატმა მას უნდობლობა გამოუცხადა. პეტროგრადის ინიციატივა კი სიხარულით არის ყველგან მიღებული. წინააღმდეგობას მხოლოდ ბურჟუაზიული კლასი უწევს, რომელთაც არ სურთ სოციალისტების შეერთება. თუმცა უნდობლობა შეაფერხებს საქმეს, მაგრამ კონფერენცია მაინც იქნება მოწვეული. ვფიქრობთ, რომ მისი შედეგები დიდი იქნება (სხდომა იხურება).

## გაზეთებიდან.

**ანარქისტების მიერ „რუსკაია ვოლიას“ სტამბის დაპყრობა**

თიბათვის 5-ს დღის სამ საათზე შეიარაღებულ ანარქისტთა ჯგუფი „რუსკაია ვოლიას“ სტამბას მიადგა და მისი კონფისკაცია გამოაცხადა. ეზოში ავტომობილებით და ერთი ტყვიის მფრქვეველით 80 შეიარაღებული კაცი გააჩერეს. ანარქისტებმა მალე ყველა სადგომები ჩაიგდეს ხელში და სტამბაში მყოფნი ყველანი დატყვევებულად გამოაცხადეს. ცოტა ხნის შემდეგ ასოთ-ამწყობები ისევ განთავისუფლეს და თან დასძინეს, რომ ჩვენ დურნოვოს საგარაკოდან მხოლოდ მუშების სახსნელად წამოვედითო.

დაატყვევეს: თანამშრომლები, კორექტორი, განყოფილებების უფროსები და რედაქტორი, როგორც ბურჟუაზიული ინტელიგენტები. ანარქისტებს ერთ ჟურნალისტთაგანმა უსაყვედურა, რომ თქვენ იმათზედაც კი ძალას ხმარობთ, ვისაც ერთად ერთ იარაღად ბეჭედითი სიტყვა აქვთო. ჟურნალისტის სიტყვამ ანარქისტებზე იმოქმედა და ცოტა ხნის ბჭობის შემდეგ, თანამშრომლებს სტამბიდან წასვლის ნება მისცეს.

ანარქისტებმა თანამოაზრე სტამბის მუშას თავიანთი მოწოდება ააწყობინეს. მოწოდება მუშებისა და ჯარის მიმართ იყო.

იუსტიციის მინისტრმა პროკურორის ამხანაგები ბესარაბოვი და დენჩინი გაჰგზავნა. სტამბას ალყა შემოარტყეს. მახლობელი ქუჩები ხალხს ველარ იტევდა. პროკურორის ამხანაგებმა ანარქისტებთან მოლაპარაკება მოისურვეს, მაგრამ უარი მიიღეს. ბოლოს, ჯარისაგან შეშინებულმა ანარქისტებმა დენჩინს სტამბაში შესვლის ნება მისცეს.

დენჩინმა სთხოვა, საქმე ისე არ მიიყვანოთ, რომ სისხლის ღვრა მოხდესო. ანარქისტებმა უპასუხეს, თუ ჯარი ძალას იხმარებს ჩვენც დავიწყებთ სროლასო. ჯარის კაცებს სტამბიდან მომავალი დენჩინი ანარქისტი ეგონათ და ცემა დაუწყეს. ოფიცრებმა ძლივს იხსნეს იგი. მილიციის უფროსს ანარქისტები კარებიდან დაეხსნენ. საქმე ისე გამწვავდა, რომ მუშ. და ჯარ. დეპ. ყრილობის პრეზიდიუმმა დაწვრილებითი ცნობების მისაღებად ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლები მოიწვია. პრეზიდიუმმა, საქმის განხილვის შემდეგ დაადგინა: წინადადება მისცეს ანარქისტებს სტამბის განთავისუფლებისა. ყრილობამ გოცი, კამენევი და ანისიმოვი გაჰგზავნა. მათ მისვლამდე ჯარისკაცებმა შეიპყრეს სამი ანარქისტი. ამავე დროს მილიციის უფროსის თანაშემწემ შინაგან საქმეთა მინისტრის თავ. ლვოვისაგან შემდეგი ბრძანება მიიღო: უბრძანეთ, რომ ნახევარ საათის განმავლობაში ანარქისტებმა სტამბა დასცალონ. თუ არა და ძალა იხმარეთო. უფრო კატეგორიული ბრძანება კერენსკიმ გასცა. ჯარს იქ დიდხანს ნუ შეაჩერებთ. 15 წუთის განმავლობაში სამოქალაქო მთავრობამ სტამბა დააცლევინოს, თუ საქმე გასჭირდა ჯარმა იარაღი იხმაროსო.

პუგაჩევი და პორუჩიკი კუზმინი მის მიერ გასამართლების თავიდან აცდენას სცდილობდნენ. ჯარი ღელავდა. მთავარ-სარდალმა პოლოვცევმა ეს შენიშნა და ანარქისტების შეპყრობა და ხალხის სამსჯავროში გადაცემა ბრძანა. ბრძანება მყის აასრულეს. ანარქისტებს იარაღი აჰყარეს. სულ 76 კაცი იყო, სხვათა შორის 5 ჯარის კაცი და ერთიც კრონშტადტელი მატროსი. ანარქისტები ეგერის ყაზარმებში მოათავსეს.

# ეროვნული საკითხი

## გაზეთებიდან.

**ლიტვეთის დამოუკიდებლობა.**

ლიტველთა სეიმზე კამათი იყო, იმის შესახებ, აქვს თუ არა ამ სეიმს უფლება ლიტვის სრული დამოუკიდებლობა მოითხოვოს. ამ საკითხზე ილაპარაკა პროფესორმა ვოლდემარმა; მან სთქვა, რომ რეზოლუცია, რომლითაც ჩვენ ლიტვის დამოუკიდებლობასა ვთხოულობთ სრულიადაც არ არის რევოლიუციური აქტიო. ეს სეიმი მხოლოდ ყველა პარტიათა სურვილს გამოსთქვამს და ჩვენი ბრძოლა-ზნეობრივი ბრძოლა იქნებაო. მართალია არა გვაქვს იარაღი, არა გვაქვს ფიზიკური ძალა, მაგრამ სუსტნი მაინც არა ვართ, რადგან ძალა, რომელსაც ჩვენ ვემყარებით—ზნეობრივი ძალა და სახელმწიფოთა ინტერესიო. ჩვენი ძირითადი მოთხოვნილებაა,—სთქვა ვოლდემარმა,—დამოუკიდებლობა, ნეიტრალობა, ლიტვის დამფუძნებელი კრება და ყოველივე ეს ერთს ერთეულად შეკრულიო. ვოლდემარმა აღნიშნა, რომ ლიტვას ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც შეუძლიან დამოუკიდებელი არსებობა, ხოლო, როგორც სურვილი გამოითქვა, ვილნაში ლიტვის დამფუძნებელ კრების მოლოდინი უაზრობაა, რადგან საზავო საერთაშორისო კონფერენციაზე ლიტვის საკითხი ლიტველთა სურვილისამებრ კი არ გადასწყდება, არამედ ისე, როგორც ამას მოინდომებს დაინტერესებული მეომარი სახელმწიფო. ამას ექიმმა ნაგევიჩმა დაუმატა, რომ ლიტვას შეუძლიან და უნდა ჰქონდეს კიდეც თავისუფალი გასავალი ბალტიის ზღვისკენაო. ბოლოს დიდი-ხნის კამათის შემდეგ გამოირკვა ორი წინადადება, ერთი ლიტველ სოციალდემოკრატებისა, რომელიც ავტონომიას მოითხოვდა მეორე—ლიტვის სრული დამოუკიდებლობა.

ეს მეორე რეზოლუცია იქმნა მიღებული.

# რუსეთი და უცხოეთი

**აფეთქება ბლოვეკის სამხედრო ქარხანაში.**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 10. ვენიდან მოსულ ცნობებით, სამხედრო სამინისტრომ დეპუტატთა პალატას ქ. ბლოვეკის სამხედრო ქარხანაში მომხდარ აფეთქების შესახებ წერილობითი პასუხი წარუდგინა. როგორც გამოირკვა,—აფეთქების მიზეზი—წყალქვეშათა განყოფილებაში გაუფრთხილებლობა ყოფილა. მოკლულია 156, სრულიად აკლია 170, დაჭრილია 625, მათში სუბუქათ 520.

ფართლეულობა.

**ოდესა.** თიბათვის 11. სასურსათო კომიტეტმა დაადგინა დასთვალოს ფართლეულობის რაოდენობა. ამისათვის ამ საქონლით ვაჭრობა დროებით შეწყვეტილია. თიბათვის 11-ათვის საფართლე დუქნებს დაჰბეჭდავენ, ხოლო საქონლის დამალვისათვის სასტიკი სასჯელია.

გადადგომის მიზეზი.

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 9. ვენიდან იტყობინებიან, რომ კლარ-მარტინიტის სამინისტრომ ვერ შესძლო სხვა და სხვა ეროვნებათა მორიგება და იმპერატორს გადადგომა სთხოვა.

მატარებლების დამსხვრევა

**ბლაგოვეშჩენსკი.** თიბათვის 9. ულმინ-უშუმუნ, ამურის რკინის გზაზე დაიწვა ხიდი. მატარებელი, რომელიც ამ ხიდს უახლოვდებოდა, დაიმსხვრა. ორთქლმავალი წყალში გადავარდა; საბარგო და საფოსტო ვაგონები დაზიანდენ. დაჭრილია ერთი მგზავრი.

ვენიზელოსი პირეიაში

**ათინა.** თიბათვის 9. მფარველ სახელმწიფოთა მთავარ კომისრის მიწვევით, ვენიზელოსი გემ „სფონდონით“ პირეიას მივიდა. სამხედრო „ვერიტეში“ სახელმწიფო მოღვაწეთა ბჭობის შედეგები ჯერ არ გამოუქვეყნებიათ. როგორც იმედებს ამყარებენ ვენიზელოსის იქ ყოფნა ხელს შეუწყობს საბერძნეთის გაერთიანებას. ხმებია, რომ ვენიზელოსი 1918 წ. მაისში ამორჩეულ პარლამენტის მოწვევას მოითხოვსო. მეგობრებთან საბერძნეთში მომხდარ ამბებზე ოპტიმისტური კილო დაუჭერია. გუშინ სალამოთი პირეის მცხოვრებთ ვენიზელოსის პატივსაცემად მანიფესტაცია გაუმართავთ.

დაპატიმრება.

**ოდესა.** თიბათვის 11. შეპყრობილი პირი, რომელიც სამხედრო ყრილობის მოწვევას ლამობდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელე გამოდგა. ექიმის მიერ შემოწმებულ იქმნა და შემდეგ ფრონტზე გაგზავნილი.

ციმმერვალდელთა მე 3-ე კონფერენცია

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 11. ციმმერვალდის ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი ახლომომავალში იწვევს ციმმერვალდელთა მესამე კონფერენციას ქ. სტოკჰოლმში.

გრიმის გაძევების გამო.

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 11. შვედელ ინტერნაციონალისტთა ბიურომ გადასწყვიტა რობერტ გრიმის რუსეთიდან გაძევების მიზეზთა გამორკვევა.

თოფის წამლის საწყობის აფეთქება

**ნიუ-იორკი.** თიბათვის 11. გავანნიდან გვატყობინებენ, მაბანის ციხეში თოფის წამლის საწყობი აფეთქდა. მოკვდა ერთი, მრავალი დაიჭრა.

# უკანასკნელი დეპეშები

**სევასტოპოლში დიდი მიტინგი გაიმართა ჯარისკაცებისა და მეზღვაურებისა. იყო 20 ათასი კაცი. მიტინგმა ჯარისკაცის განიდევნის სიტყვა და იჟერა და დროებით მთავრობას დაემორჩილა.**

**შავი ზღვის დელეგაციას აზრად აქვს სთხოვოს ადმირალ კოლჩაკს ხამსახურს დაუბრუნდეს. უნდათ გააგებინონ კოლჩაკს, რომ მისი წასვლა სამშობლოს ავნებს.**

**გენერალურ შტაბის მთავარი სამმართველო ქალთა მობილიზაციის გეგმას ადგენს. ქალებს ჯარს ზურგთ უკან სამუშაოს ჩააბარებენ.**

# ქრონიკა

## კავკასია

**კავკასიის რუკა.** კავკასიის სამხედრო შტაბის სატოპოგრაფიო განყოფილება სისწრაფით ადგენს კავკასიის რუკას, რომელზედაც აღნიშნული იქნება მცხოვრებთა რაოდენობა, ეროვნებათა მიხედვით, ნიადაგი მიწისა, ჰავა და სხვ. ეს რუკა წარდგენილ იქნება რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე.

**განკარგულებანი გადმოხვეწილთა შესახებ.** გადმოხვეწილთა სვე-ბედზე მზრუნველმა საგანგებო სათათბირომ დაადგინა: 1) მიმდინარე წლის მკათათვიდან გადმოხვეწილებს გაუდიდოს ხარჯის ფულად თვიურად 6 მანეთის ნაცვლად თითო კაცს აძლიოს 7 მან. 50 კაპ.; 2) ლეინობისთვიდან თითო ლტოლვის ბინის ქირად აძლიოს ქალაქად 3 მან., ხოლო სოფლად 2 მან.; 3) თავშესაფარებში მოთავსებულ ლტოლვილთათვის სამოსლის ფასი 50 პროცენტით გაადიდოს, ხოლო ვისაც ფულად დახმარება ეძლევა, იმათ თუმნის ადგილას 15 მანეთი მისცეს ნახევარი წლის.

**საერობო რეფორმები.** ამიერ კავკასიის კომისარიატთან მყოფმა საგანგებო საბჭომ დაადგინა სთხოვოს კომისარიატს, რომ ამიერ-კავკასიაში ეხლავე განხორციელდეს საერობო რეფორმები, რუსეთში არსებულ დებულებათა თანახმად და წვრილი საეროვნო ერთეულებით.

## საქართველო

**ი. წინამძღვრიშვილის მამული.** ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ყრილობამ, სხვათა შორის, მოისმინა მოხსენება ი. ი. წინამძღვრიშვილის მიერ ნაანდერძევ მამულისა და წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის შენახვის შესახებ. ეს მამული ზომით 630 დეს. 580 კვადრ. საქენია, ტყე, სახნავ-სათესი ადგილები და ბაღი. თავად-აზნაურთა საკრებულოს დაუვალებია სამდგილ-მამულო კომისიისათვის, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებასთან ერთად, შეიმუშაოს გეგმა ამ მამულის მოვლა-პატრონობისა. რაც შეეხება თითონ იმ მამულს, რომელზედაც სკოლაა გაშენებული და რომელიც 50 დესეტინას შეიცავს, იგი დიდი ხანია დამტკიცებული ყოფილა სკოლის სახელზე.

თავად-აზნაურობის საკრებულოს 1916 წ. ანგარიშის საერთო ბალანსი 2 900.401 მანეთი ყოფილა.

**საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გარშემო.** წევრები საგანგებო დეპუტაციისა, რომელიც პეტროგრადს არის გაგზავნილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საქმეების გამო, დეკ. მელ. კელენჯერიძე და მ. მაჩაბელი დღეს სადამოს მიემგზავრებიან პეტროგრადს.

**ქართული საგიმნასტიკო კავშირი.** ქართულ მხედართა კავშირი აარსებს ქ. თბილისში ქართულ საფარიკაო საზოგადოებას „ამირანს“, რომლის საშუალებითაც ჰსურს ქართველი ერის ჯანსაღობის გაუმჯობესობა, აქ გამოცდილ და დამსახურებულ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით იქნება ვარჯიშობის ყველა დარგის მეცადინობა. საზოგადოებაში მიღებულ იქნებიან ყველა განურჩევლად სქესისა არა უმცირეს 16 წლისა. საზოგადოება ვარჯიშობის მიხედვით დანაწილებულ იქნება წრეებად: 1) მსროლელთა—წყებრივი, 2) მსუბუქ სათლეტიკო, 3) საგიმნასტიკო, 4) მძიმე სათლეტიკო, 5) ბურთაობისა, 6) ფარიკაობისა, 7) ჭიდაობისა და 8) ველოსიპედი. წევრებად ჩაწერა შეიძლება გაზ. „ჯარის კაცის“ რედაქციაში. დილის 10—2 და სადამოს 7—8-დის.

## თბილისი.

**ხურსათი.** თიბათვის 13-ს ქალაქის სასურსათო კომიტეტის სახელობაზე მოვიდა 7 ვაგონი ფქვილი.

**„თბილისის კოოპერატივის“** გამგეობამ აღუთქვა მოსამსახურეებს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მოსამსახურეებმა გაფიცვა შესწყვიტეს. გუშინ მაღაზია გაიღო.

**ოვაციები ბალმონტს.** ამა თვის 12-ს საარტისტო საზოგადოებაში სადამო იყო გამართული სოც.-დემოკრატიულ პარტიის პრესის სასარგებლოდ. სარევოლიუციო ჰიმნის სიმღერის დროს, ერთმა წევრთაგანმა განაცხადა, რომ ამ ჰიმნის ავტორი, მგოსანი ბალმონტი, აქ იმყოფებაო და იმ ლოჟისაკენ მიუთითა, რომელშიაც ბალმონტი იჯდა. საზოგადოებამ ხანგრძლივი და გულწრფელი ოვაცია გაუმართა მგოსანს.

**მინისტრი კერენსკი უბრძანებს** ვადის განუსაზღვრელად სახლებში დათხოვნილ ჯარისკაცებს, რომ თიბათვის 15 დე უთუოდ გამოცხადდნენ მახლობელ ჯარის უფროსებთან, რომელნიც მათ გაგზავნის ამა თუ იმ სამხედრო ნაწილების შესავსებლად. ამ ბრძანების შესრულებას თვალ ყური უნდა ადევნონ ჯარის უფროსებმა.

**დაუდევრობა.** როგორც სარწმუნოდ ამბობენ, ქალაქის სასურსათო კომიტეტს რამდენიმე ათასი ფუთი კარტოფილი გაჰფუჭებია მოუვლელობის გამო.

**მ. ა. ჯაბარის დაკრძალვა.** გუშინ, თიბათვის 13-ს, დაკრძალულ იქმნა ცხედარი ქალაქის გამგეობის წევრის მ. ა. ჯაბარისა. გამოსვენება-დაკრძალვას დაესწრნენ: ქალაქის გამგეობის შემადგენლობა, ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი, სომხურ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სხ. კუბოს მიასვენებდნენ ქალაქის თვითმართველობის ფურნეების მუშები.

**კლუბების წარმომადგენელთა თათბირი.** თიბათვის 11-ს შეერთებული კრება ჰქონდათ თბილისის ყველა კლუბების მამასახლისთა საბჭოების წარმომადგენლებს. თათბირი კლუბების საჭიროებას შეეხებოდა. გადაწყვეტილ იქმნა: 1) მოეწყოს კლუბების კავშირი, 2) არჩეულ იქმნას კომიტეტი, რომელშიაც თითო კლუბიდან 2 წარმომადგენელი შევა, 3) ჯერ-ჯერობით კომიტეტის ბიურო მოთავსდეს „კრუჟოკი“-ს საზაფხულო ბინაზე. თათბირზე გამოირკვა, რომ ყველა კლუბების ბიუჯეტი წლიურად ადის 1.800,000 მანეთამდე. თავისი წმინდა მოგებიდან კლუბები მოზდილ ნაწილს ყოველ წლობით აძლევენ ხოლმე სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებებს და გაჭირვებაში ჩავარდნილ საზოგადო მოღვაწეთ.

**კ. ბალმონტის ჩამოსვლა.** თბილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი პოეტი კ. ბალმონტი. კ. ბალმონტს უკვე დაუსრულებია თარგმნა „ვეფხის ტყაოსნის“. განზრახვა აქვს მოკლე ხანში გამართოს „რუსთველის სადამო“. პოეტი წაიკითხავს აგრეთვე თავის გამოქმულს წიგნიდან „შურის მაძიებლის სიმღერებს“ „Пѣсни Мстителя“, რომელიც დაწერილია 1905 წელში და რისთვისაც იძულებული იყო დაეტოვებია რუსეთი და ათი წელი საზღვარ გარედ ეცხოვრა.

**ფ. ლ. ფერნერს,** კავკასიის სამკურნალო ნაწილის უფროსს, გადაუწყვეტია თანამდებობა დასტოვოს, იმან ამ დღეებში სთხოვა ქალაქთა კავშირის თბილისის კომიტეტს, რომ უმცროსი ექიმის ადგილზე დამინიშნეთ რომელიმე ლაზარეთშიო.

## პროვინცია.

**ხურსათი.** თელავშია სრულიად გამოილია ფქვილები და თუ დროზე არ მოაშველეს, სიმშილია მოსალოდნელი.

**ხეირნობა-ლატარეია.** თელავის კოოპერატიულ დაწესებულებებში მოსამსახურეთა „ძმური კავშირი“ ამ ახლო მომავალში აპირებს „დიდ ხეირნობა-ლატარია ალეგრის“ გამართვას, რომლის მთელი შემოსავალიც გადაეცემა მეომართა ოჯახების დამხმარე თელავის შეერთებულ კომიტეტს.

**წარმოდგენები თელავში.** საკრებულო დარბაზში თიბათვის 10 რუ, დრამ. დასის მსახიობთა მიერ გაიმართა რუსული წარმოდგენა.

ამ თვის 7-ში ამავე დარბაზში გაიმართა სომხური წარმოდგენა: „არშინ-მალ-ალან“.

**სოც.-ფედ. კრება.** თიბათვის 8 თელავში მოხდა სოც.-ფედერ. კრება. განსახილველი იყო: სხვა და სხვა პარტიების პროგრამის გაცნობა, მიწის საკითხი.

**ცარცვა.** გაძარცვეს ამ დღეებში ალაზნის ხიდის მახლობლად თელავიდან სოფლებში ცხენის ურმით მიმავალნი ჩარჩები ვართანა დადიანიშვილი და პეტრუშა ამირგულაშვილი, რომელთაც წაართვეს ცხენი, ფართალი და სხვა და სხვა წვრიმალი ღირებული 2000-დე.

**წყალდიდობა.** ხუთშაბათს, თიბათვის 8-ს სოფელ ახმეტაში სადამოს 5-ს საათზე დიდი წვიმა მოვიდა. წვიმას მოჰყვა უშველებელი ნიაღვარი, რომელმაც მდ. ორვილის რიყე და ხევის-უბანი მთლად დაჰფარა. წყალმა რამდენიმე სახლი დააზიანა, მთელი მოსავალი ორვილის ნაპირეს სულ წალეკა, ვაზი ვენახში ფესვიანად ამოაგდო. ზარალი ძალიან დიდია. ერთი ბავშვიც იმსხვერპლა.

**აკაკის სადამო თელავში.** თიბათვის 9-ს აკაკის დაბადების დღის საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის თელავის კომიტეტმა აკაკი წერეთლის სახელის აღსანიშნავად გამართა „ედემის“ ბაღში სადამო დრამატიულ განყოფილებით, ხოლო დილით „სახიე“ თვით კომიტეტის ბინაზედ. შემოსავალი გადიდო პარტიის ფონდის გასაძლიერებლად.

# ქალაქის საბჭო

თიბათვის 12.

სადამოს 8 საათზე საბჭოს დარბაზში გადახდილ იქმნა პანაშვიდი გამგეობის წევრი მ. ა. ჯაბარის სულის მოსახსენებლად. კერძო თათბირის შემდეგ კრება დაიწყო 8 საათ. 40 წუთ., ალ. ხატისოვის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარემ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დაახასიათა განსვენებულ ჯაბარის მოღვაწეობა. სხვათა შორის ხატისოვმა განაცხადა, რომ განსვენებულს გროში არ დარჩენია სიკვდილის შემდეგ და მისი სახლი ვალებით არის დატვირთულიო.

ხმ. მიტკევიჩისა და გალსტიანის წინადადების თანახმად საბჭომ დაადგინა: 1) დასაფლავებულ იქმნას განსვენებული ქალაქის ხარჯით, 2) დაფარულ იქმნას ქალაქის ხარჯით წამლობის ხარჯები, 3) წლიური ჯამაგირი განსვენებულისა მიეცეს მის ოჯახობას, 4) დაარსდეს ქალაქის ხარჯით 1 სტიპენდია თბილისის პოლიტეხნიკუმში და 5) ქალაქის ხარჯით ძეგლი დაედგას განსვენებულის საფლავზე. შემდეგ, ხმ. არუთინოვის წინადადების თანახმად, ნიშნად მგლოვიარობისა, კრება დაიხურა.

# ქართველ ქალთა კრება დიდუბეში

თიბათვის 12, დიდუბის სამრევლო სკოლის შენობაში, სადამოს 7 საათზე, გაიმართა თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების მთავარი გამგეობის თაოსნობით მოწვეული დიდუბის უბანში მცხოვრებ ქართველ ქალთა კრება. როგორც ეჩნეოდა, კრებაზე მიწვეული იყვნენ სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენელნიც. გამოითქვა სურვილი, რომ კრების პრეზიდიუმში მხოლოდ ქალები ყოფილიყვნენ. კრება ერთხმად დაეთანხმა ამ წინადადებას და აირჩია: თავმჯდომარედ ქ-ნი ნ. მირიანაშვილისა, ამხანაგად ქ-ნ ნ. კაციტაძისა, ხოლო მდივნად ბ-ნი დ. არონიშიძე. კრების დანიშნულებისა და ქალთა საზოგადოების მიზანთა შესახებ ილაპარაკა ბ. პ. ქაჯაიამ და ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს საზოგადოება არ უნდა იყოს მხოლოდ ქართველ ქალთა, არამედ მასში შესვლის უფლება უნდა მიენიჭოს აგრეთვე სხვა ერთა წარმომადგენლებსაცო. მას უპასუხა ბ-ნ დ. არონიშიძემ და მოითხოვა დამდგარიყვნენ იმ ნიადაგზე, რომელიც თავიდანვე აირჩია თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებამ. ამის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ბ. პანჩულიძემ და ჭეჭინაძემ. პირველი შეეხო ქალთა უუფლებრივ მდგომარეობას და მოუწოდა კრებას ებრძოლონ ყოველის ღონისძიებით ქალთა უუფლებრივ გათანასწორების მოწინააღმდეგე მამაკაცებსო. ბ-ნი ჭეჭინაძე შეეხო პრაქტიკულ მხარეს ქალთა საზოგადოების დაარსებისას. როგორც პირველი, ისე მეორე მოლაპარაკე მოითხოვდნენ ქალთა საზოგადოებისათვის ეროვნული სახის შერჩენას. ბოლოს ილაპარაკა ბ-ნ ქაჯაიამ, რომელიც არსებითად მიემხრო მის წინად მოლაპარაკეთა მოსაზრებას საზოგადოების დანიშნულების შესახებ და გამოსთქვა სურვილი, რომ როგორიც უნდა იყოს საზოგადოების დანიშნულება, ვფიქრობ, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახოცილთ ს. ჯულელს, ბ. ლომთათიძეს და არჩ. ჯაფარიძეს ის მაინც პატივით მოიხსენიებსო. კრებამ ფეხზე ადგომით პატივისცა განსვენებულთა ხსოვნას. ბოლოს კრებამ დაასახელა საბჭოს წევრებად კანდიდატები. კენჭის უყრელად ერთხმად არჩეულ იქმნენ 11 წევრი საბჭოსი. დარჩა კიდევ ასარჩევი ოთხი კანდიდატი.

# საფრანგეთის დიდი რევოლიუცია

VI

**ლუი XVI დასჯის შედეგები. გარეშე ომები. ვანდეელების აჯანყება. ტერორი. ანტუანეტას დასჯა. „წითელი ნათლის დება“. კონვენტის დასასრული. ეპილოგი.**

იხ. გაზ. „საქართველო“ № 125.

ლუი მეთექვსმეტის დასჯამ ევროპის სახელმწიფონი გაახელა. ინგლისის მეფემ გეორგ მესამემ დაუყონებლივ გამოსდევნა საფრანგეთის ელჩი თავის საზღვრებიდან, რაზეც კონვენტმა ომის გამოცხადებით გასცა პასუხი. ესპანელებმაც არ დააყოვნეს. მათ მიჰყვა გერმანეთი, იტალეთი, სიცილია, ნეაპოლი. ნეიტრალობას იცავდა შვეიცარია, რუსეთი, ოსმალეთი, გოსკანა, დანია და სხვები. ამათი ნეიტრალობა საკუთარ ტყავის შიში იყო: მოლოდინი ჰქონდათ რევოლიუციის ალი ამათაც მოედებოდათ. მაშასადამე უნდა მზად ყოფილიყვნენ მის აღმოსაფხვრელად, თუ არ სურდათ ლუი მეთექვსმეტის ბედი გაეზიარებინათ.

კოალიციამ სახელდახელოდ 220000 კაცი მოიყვანა. 18 მარტს 1793 წ. საქსენ კობურის მთავარმა დაამარცხა ვანდის სახელოვანი გმირი დუმურიე, რომელმაც მხოლოდ გაქცევით უშველა თავს, ხოლო, რომ პასუხის მგებლობა აეცილებინა კონვენტის წინაშე, ივლტო მტრის ბანაკისაკენ და ავსტრიელთ შეაფარა თავი.

ევროპის სახელმწიფოთა ასეთს ჯავრონსნულ ომის დროს დაერთო საფრანგეთის სამხრეთ ნაწილის აჯანყება. პირველათ ხმა ამოიღო ვანდეის გლეხობამ. მას მხარი მისცა ბრეტანმა. შემდეგ მარსელი, ლიონი, გულონი, ბორდო, თულუზა და სხვა ქალაქები პირდაპირ პარიზისკენ იწევდნენ დაწნასეზვა რაც არის, მაგან დაპლვარა სადმრთო სისხლით. გლეხობა უმეტესად კონსერვატიულ ელემენტს წარმოადგენდა. ვერ მოეწელებინა მეფის დასჯა და მიტომ ასე აშკარად მოდიოდნენ ბრძოლად. ტულონმა კარი გაუღო ინგლისელებს და მათი წაქეზებით ლუი XVI მემკვიდრე, რომელიც ამ დროს დედასთან ერთად ტამპლის ციხეში იტანჯებოდა, გამოაცხადეს მეფედ ლუი VXII სახელით.

აჯანყებულთ მალე საუკეთესო ხელმძღვანელნიც აღმოუჩნდნენ შარეტისა და ლა-როშ ჟაკლენის სახით. მათი მეთაურობით აჯანყებულთა ლაშქარი გრანვილის ნავთსადგურისაკენ გაემართნენ, სადაც ინგლისელების ჯარები უნდა მოსულიყვნენ. მართალია, ინგლისელებმა გაჰყიდეს ინდოელები და დანიშნულს ადგილზე არ გამოცხადდნენ, მაგრამ რესპუბლიკანელთა ჯარებს კარგა ხანს ბრძოლა გაუწია უდისციპლინო გლეხების ლაშქარმა.

კონვენტი ჰხედავდა, რომ ხუმრობა არ იყო. სასწრაფოდ აჯანყებულთა პროვინციებში გაჰგზავნა 82 კამისარი, რათა დაეარსებინათ იქ საზოგადო თავდაცვის კომიტეტი. ყველაზე დიდი გავლენა მოიპოვა დანტონმა. დანტონისა და ჟირონდისტების კავშირმა მალე გაიმარჯვა რობესპიერზე და შესაძლებელი იყო რევოლუციის ბედი სულ სხვაგვარ წასულიყო ამ ძლიერი ტრიბუნალის ხელში, რომ განხეთქილებას არ ეჩინა თავი და პროვოკაციის მსხვერპლი არ გამხდარიყო ეს ძლიერი, გონება მორჭმული ადამიანი. დანტონი გამოაცხადეს დიუმურიეს თანაზიარად, მაშასადამე, მოღალატედ. ეს კი საკმარისი იყო რობესპიერის კვლავ აღსამაღლებლად. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პარიზის გლეჯა-ფლეთა, შავი ტერორი, პროვინციაში გადაეტანათ. მართლაც, 82 კამისარი ცეცხლითა და მახვილით მოევლინენ გლეხებს. გაიმართა სასტიკი რბევა, დაპატიმრება. ზოგიერთს დეპარტამენტში 3—4 ათასი პოლიტიკური დამნაშავე ჰყავდათ. ბრძოლის ველზე ამართული იყო რობესპიერისა და მარატის საზარელი ნაჯახი. მასსიურ ხოცვა-ჟლეტით შეძრწუნებულმა ქალმა შარლოტა კორდემ შური იძია ზომიერ პარტიის ჟირონდისტთა დამარცხების გამო და მთავარს მოსარჩლეს, მარატს, აბანოში ბანაობის დროს გულში მახვილი გაუტარა. მაგრამ ამან უფრო გაახელა რობესპიერი. გილიოტინა დაუღალავად მუშაობდა. 17 ენკ. რობესპიერმა გამოსცა ბარბაროსული კანონი საეჭვო პირთა შესახებ. ამ კანონის ძალით 3 ოქტომბერს დედოფლის გასამართლების პროცესი დაიწყო. სასამართლოდან როცა მოიყვანეს, უბედური დედოფალი განსახიერებული მწუხარება იყო. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ აღტაცების საგანი, სილამაზით განთქმული და კოხტად მორთული ანტუანეტი, ეხლა სასამართლოს წინაშე წარადგინეს ძონძებში გახვეული, თმა შეკრეჭილი. რობესპიერის მიმდევრები მასხარად იგდებდნენ. ჰებერის უშვერმა სიტყვებმა თვით ცნობისმოყვარე მრეცხავი დედაკაცებიც კი გააწითლა. მაგრამ დედოფალს თავი მაინც ამაყად ეჭირა. ღირსეულად იცავდა თავს. სასოწარკვეთილება არ შესტყობია თვით ოქმის გამოტანის დღეს. ერთად ერთი დიდი მწუხარება მაშინ განიცადა, როდესაც 8 წლის ვაჟიშვილი წაართვეს და ლოთ მეჩექმეს მისცეს გასაზრდელად. მეორე დღეს მარია ანტუანეტა დილაადრიან გილიოტინის წინ წარადგინეს. ბრბოს ღრიანცელისთვის დედოფალს ყურადღება არ მიუქცევია. აუთრთოლებლივ გასდო კისერი ბასრი მახვილის დაშვების დროს...

დედოფლის სიკვდილმა უზომოდ ააშფოთა აჯანყებულნი. ლიონი, მაგალითად, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდა, ვიდრე მიწასთან არ იქნა გასწორებული. რობესპიერმა ყველს ქალაქში მიუჩინა რევოლუციონური კომიტეტი და რევოლუციონური არმია. რიგ რიგათ ამარცხებდნენ აჯანყებულთ და საშინელს მსჯავრსაცა სდებდნენ. ვანდეიაში 15 ეგრედ წოდებული ჯოჯოხეთის პოლკი მოქმედებდა (kolonnes internales). ნანტში ბართლომეს ღამე არ იკმარეს გამარჯვებულებმა. ანჟერში ორას-ორას კაცს ჰკვეთავდნენ თავს ყოველ დღიურად. ესეც რომ არ იკმარეს, კამისარ კარრიეს მოთხოვნილებით აჯანყებულნი ნავებით შეიყვანეს ლუარის ტალღებში და ხელფეხ-შეკრულნი გადაჰყარეს. 15 ათასი კაცი ჩაინთქა ლუარამ. ისტორიამ ასეთს სასტიკს მსჯავრს „წითელი ნათლის დება“ უწოდა.

საოცარია! იშვიათია ერი, რომელსაც ესოდენი სასტიკი კრიზისები გადაეტანოს, როგორც საფრანგეთს. შინ რომ ასე კისერს უგრეხდნენ აჯანყებულთ, საფრანგეთმა [illegible] საუცხოვო გენერლები, რომელთაც ძლიეს გარშემო მოსულს მტრებს. სახელოვანი სარდალი ნიკოლა მარგარიტ კარნო საუცხოვოდ ხელმძღვანელობდა ჯარებს. მან აღმოაჩინა ისეთი ძლიერი ტალანტი, როგორიც იყო ნაპოლეონ ბონაპარტე. მას გვერდით ამოუყენა არანაკლებ ნიჭიერი გენერალი ლაზარე ჰოში, უშარი, ჟურდანი და სხვები, რომელთაც დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულეს და სამშობლო განსაცდელისგან იხსნეს.

სამაგიეროდ ხსნის იმედი წარიხოცა შინაური გლეჯა-ფლეთის შესახებ. პარტიები ერთმანეთს ჰფლეთდნენ, ერთმანეთში ერეოდნენ, არც თითონ იცოდნენ რა უნდოდათ. რობესპიერის განდიდებამ გამოიწვია მისი დიქტატორობა. კუტონი და სენჟიუსტი მისი ამოწვდილი მახვილი იყვნენ. მორიგ საკითხად დააყენეს დანტონის ჩამოშორება, რომელიც პირველობაში ეჯიბრებოდა და სახელიც დიდი ჰქონდა მოპოვებული. მახლობლებმა გააფრთხილეს დანტონი, ურჩევდნენ, გაიქეცი სადმე, თორემ რობესპიერის განკარგულებით შენც საეჭვო პირად ხარ გამოცხადებულიო. მაგრამ დანტონი არ გაიქცა: „სამშობლოს ხომ წაღის ქუსლებით ვერ წაიღებ, მაშ სად წავიდე?“ აი, მისი ისტორიული პასუხი: „ხალხმა თავი მომაბეზრა, დაე, მე მომჭრან თავი, ვიდრე სხვებს მე ვჭრიდე“... 15 მარტს 1794 წ. დაიჭირეს ჰებერისტები, ხოლო 31 მარტს დააპატიმრეს დანტონი, დემულენი და სხვა დანტონისტები. 2 აპრილს დანტონი წარსდგა კონვენტის წინაშე. ერთხელ კიდევ იფეთქა მამულიშვილურმა სიამაყემ, გადასთვალა თავისი დამსახურება და სხვათა შორის შემდეგი სთქვა ჩვენების ჩამორთმევის დროს: „ნუღარას მკითხავთ, ჩემი სახელი ისტორიის პანთეონშია შეტანილი, ხოლო ჩემი სამყოფელი არ ყოფნის სამეუფეოში გარდატანილი იქმნება“. დანტონის სიტყვებმა ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს, რომ ბევრი მტრიდან მეგობრად გაუხდა. მოსამართლენი შიშით თრთოდნენ. მაგრამ რობესპიერმა თავისი გაიტანა. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს მას. როდესაც ჯალათი მივიდა და თოკით ხელს უკრავდა, აქეთ-იქით ასტეხეს ღრიანცელი. დანტონმა მრისხანედ შეუყვირა, გაჩუმდითო, ხოლო ჯალათს მიჰმართა: „ჩემთვის ეს ერთი თოკიც საკმარისია, მეორე წვერი შეინახეთ რობესპიერისთვის“. დაიღუპა დანტონი, მაგრამ საქმეს არა ჰშველდა რა. ტერორი მძვინვარებდა. გილიოტინას ზვარაკი არ აკლდებოდა. „ერთი გათახსირებული, — გიოლეს თქმისა არ იყოს,—იჭერდა მეორის ადგილს. რობესპიერის მახვილი საფრანგეთს თავლხით ჰმოსავდა. საბოლოოდ სისხლს ისე შეეჩვივნენ, რომ გილიოტინაზე ახლა სიცილით ეგებებოდნენ: „მიჰე, ახლა შენი ჯერია!“ ეტყოდნენ ერთმანეთს და შტვენით მიდიოდნენ, მაყურებლები კი ტაშს უკრავდნენ და იცინოდნენ. ასეთი ნაყოფი გამოიღო ტერორმა!

რობესპიერისა და მის ამხანაგების მოქმედებამ საზოგადო ზიზღი გამოიწვიეს ყველაში. ახლა წინასწარმეტყველება დანტონისა. რობესპიერმა ნამდვილი ხელმწიფება მოისურვა. იგი ზავსა და ომს თავის ნებაზე უკარნახებდა, როგორც გამარჯვების აბჯარმოსხმული გენერალი. მაგრამ დადგა მისი დღეც და საზოგადო ლაშქრობა დაიწყეს მის წინააღმდეგ. მალე კონვენტში სიტყვის ნებაც კი არ მისცეს. სასწრაფოდ დააპატიმრეს როგორც ის, ისე მისი მეგობრები. ახლა მორიგ ზვარაკად ესენი უნდა წარსდგომოდნენ გილიოტინას. ჯერ დაიღუპა როესპიერის ძმა ჟოზეფი, შემდეგ სენ-ჟიუსტი, ანდრიო და ასამდე სხვა მისი მომხრე. თვითონ რობესპიერი ყბა-გაჩეხილი იპოვნეს. არავინ იცის, ვინ დასცა დამბაჩა, თვითონ თუ სხვა შარლოტა გამოჩნდა?

ასე სამწუხაროდ დამთავრდა საფრანგეთის რევოლუცია. 1789 წ. კეთილშობილური გატაცებანი წინააღმდეგი ნაყოფით დასტკბა: ყველასათვის თავისუფლებას ეძიებდნენ და საყოველთაო მონობა ჰპოვეს: ეროვნულ კრების გონებრივ ნამუშევარი ამაო დარჩა. დაითრგუნა ადამიანთა უფლებანი „ადამიანთა უფლების“ მაღიარებელთა მიერ. რობესპიერის პოლიციურმა სულმა 6 აპრილიდან 27 ივლისამდე დაასჯევინა 2625 კაცი. ერთობა ტლანქ ძალდატანებად გარდაიქცა, სიყვარული კიდევ შურსა და მტრობად, ერთად ერთს ველურს აღტყინებად. წესიერების აღდგენა ვერ შესძლო ვერავითარმა კონვენტმა. საფრანგეთი პირუკულმა იღუ-

პებოდა, თუ არმია არ წარმოშველებოდა, განსაკუთრებით კორსიკელი არწივი—ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელიც ბოლში გარუჯული მტრის დროშებს თან ჰფხრეწდა და თან შინ დაკოდილ სამშობლოს მკერდს ამ ნაფლეთებით უმშრალებდა, შუბლს უდაფნიდა...

ეპილოგი

ამ წერილებში, თქმა არ უნდა, ყოველისფერს დაწვრილებით ვერ შევეხებით, ამისთვის უფრო მეტი იყო საჭირო და მიზნის სიფართოვე. სახელდახელო ფელეტონებით კი, ვფიქრობთ, დანიშნულებას მივაღწიეთ. ქართველი მკითხველი დამახასიათებელს ნიშნებს დაინახავდა, რომლითაც დღევანდელი რუსეთის რევოლიუციონური სინამდვილე შავის ხაზებით მეორდება ჩვენ არ ვასამართლებთ არც იმ რევოლიუციას, არც იმ დროინდელ გმირებს. ეს პირუთვნელი ისტორიის საქმეა. ვამტკიცებთ მხოლოდ, რომ მიუხედავად ათას გვარი უმეცრებისა და ურთიერთის გლეჯა-ფლეთისა დიდმა რევოლიუციამ უზრუნველ-ჰყო საფრანგეთის მომავალი. მართალი იყო გიოტე, რომელმაც ვალმისთან დამარცხებულ პრუსაკებს მიჰმართა ოტების დროს: „რას გამორბიხართ? ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ხართ მოწმენი კაცობრიობის განახლებისა! თქვენი დამარცხებით გამარჯვებული მოაქვთ განახლების ალამი"! მართალიც იყო, რამდენი ქვეყანა მოვალეა საფრანგეთისა უკეთილშობილეს მიზნებით განახლებისათვის! რუსეთის რევოლუციის ტემპი ხომ „მარსელიეზის" მარშზე მიდის და ჯერ-ჯერობით საკუთარი ჰიმნი ვერ დაუმღერიათ ვერც კრონშტადში და ვერც პეტრეს ქალაქში, სადაც რევოლუციამ ორი გზა აირჩია და არც ერთგან არ გააჩნიათ საკუთარი ხომალდის აფრა...

დ. კასრაძე.

(დასასრული)

13 თიბ. 1917 წ.

## „ბოლშევიკების" რეზოლიუცია ნაციონალურ საკითხზე

მიღებული რუსეთის სოც.-დემ. პარტიის საერთო კონფერენციაზე.

ნაციონალური შევიწროების პოლიტიკას, რომელიც თვითმპყრობელობის და მონარქიის მემკვიდრეობას შეადგენს, მხარს უჭერენ მემამულეები, კაპიტალისტები და წვრილი ბურჟუაზია თავიანთი კლასობრივი პრივილეგიების დასაცავათ და სხვადასხვა ერების მუშების დასაქსაქსავათ. თანამედროვე იმპერიალიზმი კი აძლიერებს რა სუსტ ერების დამორჩილების მისწრაფებას, წარმოადგენს ნაციონალური დამონების გამწვავების ახალ ფაქტორს. რამდენადაც შესაძლებელია კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნაციონალურ შევიწროების თავიდან აცილება, ეს შესაძლებელია მხოლოდ ნამდვილ დემოკრატიულ რესპუბლიკანური წესწყობილების საფუძვლებზე, რომელიც უზრუნველ ყოფს ყველა ერების და ენების სრულ სწორუფლებიანობას.

ყველა იმ ერებს, რომლებიც რუსეთის საზღვრებში ცხოვრობენ, უნდა მიეცეთ უფლება თავისუფალი გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა. ასეთი უფლების უარყოფა და ისეთ ზომების მიუღებლობა, რომლებიც უზრუნველ ყოფენ ამ უფლების პრაქტიკულ განხორციელებას, მტაცებლობის და ანექსიების პოლიტიკის პირდაპირ მხარის დაჭერა იქნებოდა. მხოლოდ პროლეტარიატის მიერ მიღება იმის, რომ ერებს აქვთ უფლება გამოყოფის, უზრუნველყოფს სხვა და სხვა ერების მუშების სრულ სოლიდარობას და ხელს შეუწყობს ნაციების ნამდვილ დემოკრატიულ დაახლოვებას.

ის კონფლიქტი, რომელიც ამ ჟამად არსებობს ფინლიანდიასა და რუსეთის დროებითი მთავრობის შორის, მეტად თვალსაჩინოთ გვიმტკიცებს, რომ თავისუფალი გამოყოფის უფლების უარყოფა არსებითად ცარიზმის პოლიტიკის გაგრძელებაა.

ის საკითხი, რომ ერებს აქვთ უფლება თავისუფალი გამოყოფისა, ჩვენ არ უნდა ავურიოთ ამა თუ იმ ერის ამა თუ იმ მომენტში გამოყოფის ხელსაყრელობის საკითხთან. ეს უკანასკნელი საკითხი პროლეტარიატის პარტია ვალდებულია გადაჭრას თითოეულ კერძო შემთხვევაში სრულებით დამოუკიდებლად, მიიღებთ რა მხედველობაში მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს ერთი მხრით და სოციალიზმისთვის, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს მეორე მხრით.

პარტია თხოულობს ფართო საოლქო ავტონომიას, მაღლიდან ზედამხედველობის გაუქმებას, სავალდებულო სახელმწიფო ენის გაუქმებას და თვითმართველ და ავტონომიურ ოლქების საზღვრების განსაზღვრას ისე კი რომ თვით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გაუწიონ ანგარიში ეკონომიურ პირობებს, ყოფა-ცხოვრებას, მცხოვრებლების ეროვნულ შედგენილობას და სხვ.

პროლეტარიატის პარტია გადაჭრით უარყოფს ეგრეთ წოდებულ კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას, ე. ი. სახელმწიფოს მართვა-გამგეობიდან სასკოლო საქმის და სხვ. გამოყოფას და ასეთ საქმეების ნაციონალურ სეიმების ხელში გადაცემას. იმ მუშებს, რომლებიც ერთ ალაგას ცხოვრობენ და თითქმის ერთ და იმავე დაწესებულებაში მუშაობენ, კულტურულ-ნაციონალური ავტონომია ხელოვნურათ აცალკევებს ერთი მეორესაგან იმის მიხედვით, თუ რომელ ნაციონალურ კულტურას ეკუთვნიან ისინი, ე. ი. აძლიერებს მუშების კავშირს ცალ-ცალკე ერების ბურჟუაზიულ კულტურასთან, იმავე დროს კი სოციალ-დემოკრატიის დანიშნულებას შეადგენს მსოფლიო პროლეტარიატის ინტერნაციონალურ კულტურის გაძლიერება.

პარტია თხოულობს ძირითად კანონებში ისეთი მუხლის შეტანას, რომლის ძალით უნდა გაუქმდეს ყოველგვარი ნაციონალური პრივილეგია და აგრეთვე ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების ყოველივე შეზღუდვა ან დარღვევა.

მუშათა კლასის ინტერესები თხოულობენ რუსეთის ყველა ერების მუშების შეკავშირებას ერთიან პროლეტარულ, როგორც პოლიტიკურ და პროფესიონალურ, ისე კოოპერატიულ და განმანათლებელ ორგანიზაციებში. მხოლოთ ასეთი შეკავშირება სხვა და სხვა ერების მუშებისა ერთ ორგანიზაციაში პროლეტარიატს მისცემს შეძლებას აწარმოოს ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალის და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

## გორის მაზრის სამღვდელოების დეპუტატთა საყურადღებოთ

გორის სასულიერო სასწავლებლის გამგეობა იწვევს სამღვდელოების დეპუტატებს თიბათვის 19-ს კრებაზედ სასულიერო სასწავლებლის ხარჯთა აღრიცხვის განსახილველათ 1918 წლისათვის. გაიხსენეთ მ. მ. დეპუტატნო, რომ სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობა ჯერ არ არის გამორკვეული, თუ ვის უნდა ემორჩილებოდეს, სრულიად საქართველოს პატრიარქ-კათალიკოზის მოსაყდრეს, თუ ყოფილ ეგზარხოსს. ეს კითხვა გამოირკვევა ყოველშემთხვევაში მომავალ ენკენისთვემდის, სწავლის დაწყებამდინ. ამისათვის სამღვდელოების დეპუტატთა კრება უნდა გადიდოს კითხვის გამორკვევამდინ და მხოლოთ მაშინ შევიკრიბებით. ეხლა კი უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდებით, რადგანაც ყოფილ ეგზარხოსთან ჩვენ სამღვდელოებას არავითარი კავშირი აღარა აქვს.

დეკანოზი **იროდიონ ოქროპირიძე.**

## კორესპონდენცია

### სოფლის ვითარება.

**ს. ცხრა მუხა.** ერთი დიდი უბედურება ხალხისა ის არის, რომ მუშა და მარჩენი ხელი ბევრს ოჯახს წაერთვა. ამის შესახებ არა ერთხელ თქმულა და დაწერილა პრესაში. ამ ჩვენს გაჭირვებულ, გაძვირებულ და უბედურ დროში ასეთი მოვლენა დიდი დამაქვეითებელია ხალხისა, მეტადრე მაშინ, როცა ასეთი მოვლენა მასს უჩნია და მთელ ხალხს მოედება. იქ სადაც თვრამეტი წლის ჭაბუკიც აღარ მოიპოვება, სადაც 10—15 წლის ბიჭის ანაბარადაა დატოვებული ოჯახი და სადაც მოხუცს და დედაკაცს უხდება ვაჟკაცობის გაწევა, ხალხის დაქვეითება გაჩქარებულის ტემპით სწარმოებს. ის დახმარება, რომელსაც მთავრობა აძლევს სათადარიგო ჯარის-კაცთა ოჯახებს, ჯერ ერთი თავისთავათ ცოტაა, მეორეც ისა, რომ მხოლოდ სათადარიგოთა ოჯახებს ჰხვდებათ წილად და დანარჩენი ოჯახები კი, რომლებიც იმავ პირობებში არიან, როგორშიაც სათადარიგოთა ოჯახები იმავ გასაჭირს განიცდიან, და მესამეც ისა, რომ თვით დახმარება სწორედ და რეგულიარულად არა სწარმოებს. უცოდინრობისა, უენერგიობისა და ხელმძღვანელთა მოკლებულობისა გამო ხალხს ვერ მიუღწევია იმ დაწესებულებამდის, რომელიც მას სათანადო დახმარებას უნდა აძლევდეს. საქმეს ის გარემოებაც ართულებს, რომ ამ დაწესებულებათა ორგანიზაცია ფრიად ცუდია; იგი ცენტრალისტურ პრინციპებზეა აგებული, მოთავსებულია ქალაქებსა და საერთოდ ცენტრებში და დაშორებულია ხალხზე. დახმარების მიღება წინედ ძნელი იყო ძველი რეჟიმის აგენტების მექრთამეობის მიზეზით, ეხლა კი ცხოვრების არევის მიზეზით ისევ ძნელია.

ყველა ეს ჰქმნის ხალხის გასაჭირს. სოფლებში ზოგი ისეთი ოჯახია, სადაც მხოლოდ დედაკაცობა, წვრილფეხობა და ავადმყოფი ხალხია შერჩენილა. ამათი მდგომარეობა ისეთი უწყალოა, რომ ადამიანი თვალით ვერ უცქერის. აი ერთი მაგალითი: 1. ცხრამუხაში სცხოვრობს დაავადებული 58 წლის მოხუცი პეტრე კოპაძე. მისი მარჩენალი 18 წლის ვაჟი შარშან, მარიამობისთვეში გაჰგზავნეს სალდათად. კოპაძეს დაეკისრა, და, 68 წლის მოხუცი, გაუთხოვარი და სნეული, შვილები—ორი გოგო—14 და 12 წლისანი, რძალი,—ძმის ცოლი 33 წლისა, ქვრივი სამი შვილით 6, 3 და 1 წლისანი გოგოები. ამრიგად, ამ ოჯახში წლოვანობის მიხედვით შრომისათვის გამოსადეგია მხოლოდ ქვრივი რძალი, მაგრამ როგორც დედაკაცი იგი ვაჟკაცობას ვერ გასწევს, ამასთანავე თვითონ წვრილ შვილია და სახლში ავადმყოფების მყოლე რომელთაც მოვლა უნდათ. მკითხველი თვით გაიგებს ამ ოჯახში მდგომარეობას. ასეთ დღეშია სოფლად მრავალი ოჯახი, და თუ დიდხანს გასტანა ასეთმა დრომ ასეთი ოჯახები უფრო იმრავლებენ: გაჭირვებას, სიშილს, უპატრონობას გარყვნილება მოსდევს და შეიძლება, რომ სოფელს გარყვნილება მოედოს. ყველა ამას ყურისგდება და პატრონობა უნდა. ნეტა თუ ვინმე მოიცლიდეს ამ რევოლუციის დროს, ამ რევოლუციის კეთებისაგან და ხალხის წყლულს რამე მალამოს უპოვნიდეს.

გ. ზ.

## წარმოდგენები პროვინციაში

**თელავი.** არ შეიძლება ადამიანმა არ უსაყვედუროს ჩვენ პროვინციელ სცენის მოყვარეთ, ქართულ წარმოდგენების დამახინჯება. ხშირად ისეთ პიესებს არჩევენ, რომლის დადგმაც შეუძლებელია იქ, სადაც არც საიმისო სცენა არსებობს, არც დეკორაციები, არც ტანისამოსები და არც მოთამაშენი არიან, ორიოდე ნიჭიერი სცენის მოყვარის მეტი და ეს ორი-სამი რიგიანი მოთამაშე კიდევ, ვერ შეიძლებს ყველა გამოუცდელი მოთამაშეთა მომზადებას, ორი-სამი რეპეტიციით, რასაც ყველა არ ესწრება, თუ სათითაოდ არ დაუარეს და ხვეწნით არ მიიყვანეს ამ რეპეტიციებზე. ყველანიც რომ მოვიდნენ დაიწყება რეპეტიცია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ სუფლიორის სიტყვების თუთიყუშივით გამეორება; არც მოძრაობა, არც მიმიკა, არც ირონია, არც პაუზა, არც ხმის აწევა-დაწევა და არც კილო, და თუ გამე და რომელიმე სცენის მოყვარემ, შეცდომის გასწორება, ისეთ დღეს დააყრიან რომ თავებს აწყევლინებენ, მეტადრე ქალები... რომელი გამოჩენილი არტისტი ხარ, რომ მე მასწავლო, შენც სცენის მოყვარე ხარ და მეცა ო და წავა კიდეც რეპეტიციიდან, გაბუცული. ახლა მაშინ სჭირდება დიდი ხვეწნა-მუდარა წარმოდგენის საბრალო გამმართველს როგორმე შეირიგოს და ისე ითამაშოს, როგორც თითონ ჰსურს როლის სრულ უცოდინარობით, რითაც თითონც სცენაზე იტანჯება!.. წვალობს!.. დარბაზში კიდევ მაყურებლებს ეტანჯებათ გული, მისი საცოდაობის მაცქერალთ და თავებს იწყევლიან, რომ, წარმოდგენაზე მივიდნენ სცენის მოყვარენი კი ყურადღებას არ აქცევენ, ანუ არ უნდათ მიაქციონ, და საშინლად ამახინჯებენ პიესებს, მხოლოდ იმისთვის, რომ სცენაზე გამოვიდნენ და ითამაშონ, ისეთი პასუხსაგები როლები, რომლის თამაშობასაც გამოჩენილი მსახიობნიც ვერ გაბედავენ ადვილად. მაგალითად ერთ სოფელში დავესწარი წარმოდგენას, სადაც „არსენას" თამაშობდნენ, მერე ვინ თამაშობდა არსენას?! ერთი ვიღაც კაცუნა, რომლის სიმაღლეც ერთ არშინს არ აღემატებოდა, ხმა კიდევ წრიპინა ჰქონდა, ეს რომ დაინახეს გლეხებმა ყველამ ერთ პირათ ამოიძახეს—ბიჭოს, ი, არსენა—დიდ კაცს ამბობდნენ და ე როგორ დაუპატარავებიათო—ისეთი სიცილი გამოიწვია ამ სიტყვებმა რომ არსენას სულ გადაავიწყდა თავის არსენობაც და თავის თავიც და აღარ იცოდა რას ლაპარაკობდა სცენაზე. აი, ამის მგზავსი მაგალითები ბევრჯერ ყოფილა პროვინციის სცენაზე. საჭიროა დიდი პიესების თამაშობა მოშალონ ჩვენი პროვინციის პატარა მოთამაშეებმა.

ნ. შუამთელი.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 8, | 11.03 | დილ. |
| " | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| " | " | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| " | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| " | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.18 | საღ. |

თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| " | საფ. | № 4, | 8.33 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.45 | დილ. |
| " | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| " | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| " | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

# გაზეთ „საქართველოს" კანტორისაგან.

## ხელის მომწერთა საყურადღებოდ:

ვისაც გაზეთის ფასად გადახდილი ჰქონდა 5, 7 და 8 მანეთი, გაზეთის გაგზავნა ყველას მოესპობათ.

პროვინციებიდან თვიური ხელის მოწერა არ მიიღება.

## გორის საურთიერთო ნდობის-საზოგადოების საბჭო და სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ამა წლის თიბათვის 29, დილის 11 საათზე „საზოგადო საკრებულო"-ს შენობაში დანიშნულია საზოგადოების

# წევრთა საერთო კრება

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) საბჭოსა და სამმართველოს მოხსენება საზოგადოების საქმეებზე.

2) 1916 წლის ანგარიშის განხილვა-დამტკიცება და წმიდა მოგების განაწილება.

3) 1917 წლის შემოსავალ-გასავლის განხილვა და დამტკიცება.

4) ამოსარჩევია საბჭოს 3 წევრი ლ. ვ. მებურიშვილის, პ. ქ. ჯაფარიძის და ნ. მ. კლიმიაშვილის მაგივრად, რომლებიც საბჭოს თავს ანებებენ.

5) ამოსარჩევია სამმართველოს ერთი წევრი ზ. დ. ქიტიაშვილის მაგიერ, რომელიც ვადის გასვლის გამო სამმართველოს აგრედვე თავს ანებებს.

6) ამოსარჩევია სარევიზიო კომისიის 3 წევრი და მათი კანდიდატები 1917 წლ. ანგარიშებისა და სხვა საქმეთა სარევიზიოდ.

თუ ეს კრება არ შესდგება, მერე კრება ინიშნება იმავე დარბაზში მკათათვის 16-ს. კრება კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

3—732—1 საბჭო და სამმართველო.

საყოველთაო სიძვირე დღითი-დღე იზრდება. ამ სიძვირეს რასაკვირველია ვერ ასცდა გაზეთის გამოცემის საქმეც.

სულ მოკლე ხანში აწყობისა და ბეჭდვის ხარჯი ერთი-სამად გადიდდა, მოიმატა სხვა ხარჯებმაც. ამიტომ იძულებული ვართ, დროებით გავადიდოთ გაზეთის ფასი.

მაისის ოციდან „საქართველოს" თითო ნომერი

# ღირს 10 კაპ.

ამასთანავე პირველ ივნისიდან მომატებული იქნება ხელის-მოწერის ფასიც. წლის ბოლომდე 1 ივნისიდან ეღირება 10 მან., 3 თვით 5 მან., ხოლო ერთის თვით 2 მან.

**იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გამოწერილი აქვთ უკვე გაზეთი მთელის წლით, დამატებითი ფული არ გადახდებათ.**

გამოცემა ქნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

# ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები

## სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა".

ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა".

ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი".

ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა".

გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი".

დ. უზნაძის—„პოეტის სული".

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

**წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50).** სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—15)

# 1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ"-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

## ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

**ფოსტისთვის:** Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2.

დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—40)

**მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.**

საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის" (ავტონომისტთა) გაზეთ

# „ხალხის თავისუფლება"-ზე

(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

**ივ. გომართელის** მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც მწერალთა თანამშრომლობით დ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

**გაზეთის მიზანია:** მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

**გაზეთი ღირს:** ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის" სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба" I. Имедашвили.

(10—638—15)

# საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსვარული ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.**

**ბელანჟე**—შავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
**გეინაცი**—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
**ახპიხოვი**—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
**ფირადოვი**—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
**მონხე**—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
**ჩუდნოვსკი**—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
**ბეგზადოვი**—ქალთა და საშვებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
**იოხელიანი**—ქალთა დ საშვებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
**ნარიმანოვი**—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
**დეკანოზოვი**—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
**ტროიცკაია**—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე, ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
**ბაგდოევისა**—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
**ალიხანოვისა**—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—23

# თამბაქოს მრეწველნი ძმ. [illegible]

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 3, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საფაბრიკო სახლ. „დ. [illegible]", [illegible] ახალი ქვერითის [illegible], [illegible] [illegible]. [illegible] საუკეთესო [illegible] ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, [illegible] და [illegible], გვაქვს აგრეთვე მიღებული [illegible] [illegible] [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის [illegible] [illegible]. (წ.)